

ფასი

კერძო პირთათვის 25.000 მან.  
სახელმწ. დაწეს. 20.000 მან.

პროლეტარებო ეველა ქვეენისა, შეერთდით!

ქართული  
ბიზნიროთიკა

წელიწადი  
მეორე.

# მთაბე

სუთშაბათი,  
ნოემბრის 30.  
1922 წ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.

№ 42—43

ეოველ კვირეული ორგანო.

№ 42—43

## ქურნალ „მთაბე“-ს რედაქციისაგან.

ეველა ხელის მომწერთა, სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა და კეწმო ორგანიზაციების საეურაღებოდ რედაქცია აცხადებს, რომ

— ქურნალი უფასოთ არავის გაეგზავნება. —


ეველა ხელის მოწერი ვალდებულა გადაიხადოს მათეა დარე-  
ნილი ხელის მოწერის ფასი, წინააღმდეგ შემთხვევაში მოესკობათ

### — ქურნალის გზავნა —

ეოველგვარი განცხადების ფასი: სტრიჟონ—10.000 მან.

დოკუმენტების დაკარგვის შესახებ დასაბუქდი განცხადებების ფასი 30,000 მან.

ქურნალში მოსათავსებელი განცხადება დაიბუქდება მხოლოდ ფულის  
შემოტანის შემდეგ.



რედაქცია ღიაა დილის 9 ს.—3 საათამდე, კვირა-უქმეების გარდა.

რედაქციის მისამართი:

შინ. საქ. სახ. კომისარიატის ბინა: ევანგულოვის ქ. № 1. (ეოფ.—კადეტთა კორპუსის  
შენობა) ტელეფონი № 8—59.





ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ი გ ა ნ ე ო ფ ი ლ ე ბ ა ტ ო ვ ნ ო მ ო მ ა რ ა ტ ო ვ ს კ ო მ ი ს ა რ ი ა ტ ო ვ ს

ცენტრ. აღმს. კომიტეტი:

სახალხო კომის. საბჭო

დეკრეტი № 10

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

სრულიად საქართველო ქალაქთა მოსახლეობის აღწერის შესახებ.

რათა გამოარკვეულ იქნეს საქართველოს, აფხაზეთის და აჭარის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების ქალაქთა და ქალაქური ტიპის დასახლებულ ადგილთა მოსახლეობის რაოდენობა და დემოგრაფიულ პროფესიული შედგენილობა და აგრეთვე შესწავლილ იქნეს საბინაო პირობები—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. მოხდენილ იქნეს მიმდინარე წლის ნოემბერში, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო მოსახლეობის ერთდღიური აღწერა.

2. აღწერის ორგანიზაცია და საქრთო ხელმძღვანელობა დაევალოს საქ. სოც. საბ. რესპ. ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს.

3. ქ. ქ. ტფილისში, ქუთაისში, ფოთში, ბათუმში და სოხუმში აღწერა მოხდეს ამა ქალაქების ხარჯზედ, ხოლო აღწერის მოსახდენად დანარჩენ ქალაქებში და აღწერის საერთო ორგანიზაციისათვის თანხა მიცემულ იქნეს საქ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს განკარგულებაში.

4. ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს დაევალება თავის დროს, გამოაქვეყნოს, როგორც ნუსხა იმ ქალაქებისა და ქალაქური ტიპის დასახლებულ ადგილებისა, რომლებზედაც გავრცელებულ უნდა იქნეს აღწერა, ისე თვით დღე აღწერისა.

5. ყველა საბჭოთა, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებათ და პირთ დაევალებათ ყოველმხრივ ხელი შეუწყონ საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის აღწერის წარმატებით შესრულებას.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ს. ქავთარაძე ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მდივანი თ. კალანდაძე 1922 წ. ოქტომბრ. 7

დადგენილება № 55

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

დაქირავებულ მომუშავე პირთა დასახლევად დამზღვევ ორგანოებში შესატან საპროცენტო ანარიცხის გადიდების შესახებ—უმუშევართა სამკურნალო საშედიცინო და მატერიალური დახმარებისათვის.

უმუშევართა სამკურნალო საშედიცინო და მატერიალური დახმარების წესიერი წარმოებისათვის და დამზღვევ ფონდში 10% ანარიცხის შეტანის თაობაზე 24 და 24 №-რით გამოცემულ დადგენილებათა დამატებად, საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. უმუშევართა უზრუნველსაყოფად 10% ანარიცხს დამატებით დაერთოს კიდევ 2%-ით და ამის მიხედვით დამზღვევ ფონდისათვის ამა 1922 წლის სექტემბრის 1-დან დაწესდეს 12% ანარიცხი.

2. გამოანგარიშება და წესი საპროცენტო ანარიცხის გადახდევინებისა შეფარდებულ იქნეს 23 და 24 №-ს დადგენილებასთან.

საქართველოს სახ. საბ. რესპუბლ. სახალხო კომისართა საბჭ. თავმჯდომ. ს. ქავთარაძე

შრომის სახალხო კომისარი ა. იაშვილი სახალხო კომისართა საბჭოს მდივ. აღ. სალარიძე 8 ოქტომბ. 1922 წ.

დადგენილება № 56

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი, სოციალური დაზღვევის საბჭოს დაარსების შესახებ

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში სოციალური დაზღვევის საქმის სწორედ და სავსებით განსახორციელებლად, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაარსებულ იქნეს ამიერ კავკასიის სოც. საბჭ. რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარი-ატთან შყოფ საქართველოს რწმუნებულის სამმართველოსთან რესპუბლიკის სოციალური დაზღვევის საბჭო.

2. სოციალურ დაზღვევის საბჭო შესდგება საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სამის წარმომადგენლისაგან, უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი





# შინაგან საქმ. სახ. კომისარიატის

## შირკულ ბრულოდ

ყველა მაზრის აღმასკომს

### გადასახადების შემოსავლიდან ადგილობრივ საქროებათა დაკმაყოფილების შესახებ

სამაზრო აღმასკომების მიერ ამა 1922 წლის წარმოდგენილ შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის გადასინჯვის დროს აღმოჩნდა შემდეგი ნაკლებობა:

ადგილობრივ გადასახადებთა დებულების თანახმად სამაზრა და ქალაქების აღმასკომები ვალდებული არიან ადგილობრივ საქროებათა მოთხოვნილებები დააკმაყოფილონ აღნიშნულ დებულებით შემოღებულ (13—14 მუხლი) გადასახადების შემოსავლიდან. მაგრამ, აღმასკომების მიერ ეს სავესებით არ არის გატარებული ცხოვრებაში, რაც ნათლად სჩანს მათ მიერ წარმოდგენილ ხარჯთ-აღრიცხვებიდან და სწორეთ ამის შედეგია ის, რომ თითქმის ყველა მაზრების ხარჯთ-აღრიცხვებში ნაჩვენებია დეფიციტი, რომლის დაფირვას აღმასკომები ელოდებიან სახელმწიფო ხაზინიდან.

უმალეს მთავრობას შეუძლია ადგილობრივ აღმასკომებს დახმარება მისცეს სესხისა თუ ლოტაციების სახით, იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც ეს გამოწვეული იქნება რაიმე განსაკუთრებულ პირობებით.

ზემოაღნიშნულის გამო აღმასკომები ვალდებული არიან მიიღონ ენერგიული ზომები, თანახმად არსებულ გადასახადებთა დებულების, სამაზრო თუ ქალაქების აღმასკომების ადგილობრივ საქროებათა მოთხოვნილებების დადასკმაყოფილებლად ხსენებულ დებულებით გათვალისწინებული გადასახადების აკრეფილ თანხის საშუალებით.

ამასთანავე, სამაზრო და ქალაქების აღმასკომებთან არსებული კომუნალური განყოფილებები, როგორც ეს გამოიკვეა სამაზრო და ქალაქების აღმასკომთა ხარჯთ აღრიცხვების გადასინჯვის დროს, სასურველათ ვერ ემსახურებიან თავიანთ დანიშნულებას: უმეტესი ნაწილი კომუნალურ მეურნეობის განყოფილებებისა თავის მუშაობით, სამეურნეო წამოწყებითა და წარმოებებით, არამც თუ რაიმე სარგებლობას აძლევენ ადგილობრივ ხელის უფლებებს, არამედ ვერც კი ასწორებენ პირადი შემადგენლობისათვის ხარჯებსაც.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ კომუნალური მეურნეობის წარმოება, საერთოთ, იყოფა ორ რიგად ა) წარმოება, რომელიც აკმაყოფილებს მცხოვრებთა პირველ მოთხოვნილებების საქროებებს (წყალ სადენი, სასაკლაოები, ასენიზაცია საშუალება და სხვა) და ბ) წარმოება, რომელიც აკმაყოფილებს მეორე ხარისხიან საქროებას (ელექტრონის სადგური, ტიპოგრაფია, სარემონტო სახელოსნოები, აბანოები ხე-ტყის ქარხანა და სხვა).

პირველი რიგის წარმოებათა ექსპლოატაცია,

და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის თითო წარმომადგენლისაგან,— შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის ან მის მიერ დანიშნული პირის თავმჯდომარეობით.

3. სოციალური დაზღვევის საბჭო პრაქტიკულ მუშაობაში, ხელმძღვანელობს რა ამიერ კავკასიის დაზღვევის საბჭოს დადგენილებით და განკარგულებით, ხოლო ამასთანავე წარმომადგენს რა რესპუბლიკის უმაღლეს ორგანოს საქართველოში დაქირავებული შრომის მომუშავე პირთა ყოველგვარ სოციალურ უზრუნველყოფის მოწყობისა და ხელმძღვანელობისათვის, იგი:

ა) აწესებს წარმოებათა, დაწესებულებათა და სამეურნეო ორგანოთა მუშაობის მანებლობისა და საშიშროების ხარისხებს და ახდევინებს მათ სათანადო გადასახადებს.

ბ) სცვლის, არსებულ კანონდებულებათა ფარგლებში დამზღვევი გადასახადის რაოდენობას, საზღვრავს მის შეტანის ვადას და ახდევინებს გადასახადებს.

გ) აჯარიმებს, დაწესებულ კანონთა ფარგლებში, სოციალური დაზღვევისათვის გამოცემულ დადგენილებათა დამრღვევთ, ახდევინებს ამ ჯარიმას და აძლევს დამნაშავეს ადმინისტრაციულ და სასამართლოს პასუხისგებაში.

დ) აარსებს ფონდებს ამა თუ იმ სახით უზრუნველყოფისათვის, ჰქმნის სათადარიგო ფონდს, რომელსაც იგი განაგებს.

ე) მიიღებს ყოველგვარ ღონისძიებას დაზღვეულთა საქმიან-სამკურნალო დახმარების გაუმჯობესებისათვის.

ვ) აარსებს სოციალურ დაზღვევის თავშესაფარებს, ინვალიდებისათვის სახელოსნოებს და სხვა დაწესებულებებს, აგრედე წაწარმოო და წაწარმოო—სამომზარებლო გაერთიანებულ ორგანიზაციებს ინვალიდებისათვის.

ზ) დამზღვევი კასების საშუალებით ანხორციელებს მთელს რესპუბლიკაში ერთნაირ წესს და ვადას დახმარებათა მიცემისათვის.

თ) განსაზღვრავს ინვალიდების უფლებას უზრუნველყოფისათვის და ჰნიშნავს პენსიას და

ი) იხილავს და ამტკიცებს დამზღვევი კასების აღრიცხვებს.

4. სოციალური დაზღვევის საბჭო აარსებს სათადარიგო ფონდს ცალკე დამზღვევი კასების დახმარებლად და მიმდინარე საორგანიზაციო და სხვა ხარჯებისათვის. აღნიშნული ფონდი შესდგება ადგილობრივი დამზღვევი კასების მიერ რეგულიარულად შესატანი 10%-იანი ანა რიცხისაგან.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. სახალხო კომის. საბჭოს თავმჯდომ. **ს. ქავთარაძე**

შრომის სახალხო კომისარი **ა. იაშვილი**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივ. **ალ. სალარიძე**  
1922 წ. ოქტომბ. 12



უკიდურეს შემთხვევაში, უნდა წარმოებდეს თავით შესყიდვის პრინციპის თანახმად, მეორე რიგის წარმოებას, ექვს გარეშე, უნდა მოქონდეს სარგებლობა. თუკი შემოსავალი წარმოებიდან, თავის მთელ პროდუქციით, ვერ ფარავს გასავალს, ასეთი წარმოება ან უნდა გაიცეს იჯარით, ან უნდა დაიხუროს დროებით, ამ წარმოებათა პროდუქტების საზოგადო მოთხოვნილებების დრომდე.

ამგვარად, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი ყოველივე ზემო აღნიშნულ დეფექტების თავიდან ასაცილებლად კატეგორიულ წინადადებას აძლევს რესპუბლიკის ყველა სამაზრო და ქალაქების აღმასკომებს:

ა) თანახმად ადგილობრივ გადასახადთა დებულების 13—14 მუხლისა ადგილობრივ გადასახადებიდან შემოსული თანხით დაფარულ უნდა იქნეს სამაზრო და საქალაქო აღმასკომების მიმდინარე ხარჯები.

ბ) მაზრებში და ქალაქებში კომუნალურ მეურნეობის განყოფილებების მიერ წამოწყებული უნდა იქნეს ისეთი წარმოება, რომელიც ახალი ეკონომიური პოლიტიკის მიხედვით, დაფარავს ამ წარმოების ყოველივე ხარჯებს, თუ უკანასკნელი აკმაყოფილებს პირველ მოთხოვნილებების საჭიროებას

თუ კი წარმოება აკმაყოფილებს მეორე მოთხოვნილებების საჭიროებას, ის აუცილებლად უნდა აძლევდეს კომუნალურ მეურნეობას რაიმე შემოსავალს რომელიც უნდა მოხმარდეს ქალაქების კეთილმოწყობის საქმეებს.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი ა. გეგეჭკორი

საქმეთა-მმართველის მაგიერ ცინცაძე

კომუნალურ განყოფილების გამგე ნანეიშვილი

13 ოქტომბერი 1922 წ.

## ცირკულიარულად

სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს გასამრჯელოში 10% შესახებ

თანახმად საქართველოს რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის საბჭოს დადგენილებისა № 23 გამოქვეყნებულ ჟურნალ „მოამბეში“ № 35, ყველა სახელმწიფო დაწესებულება ვალდებულია 10% მთელი იმ სამუშაო გასამრჯელოსი (ჯამაგირი, ზედმეტი ნამუშევარი, პრემიალური, ნატურალური და სხვა) რომელსაც იგი მუშა მოსამსახურეთ გადაუხდის, შეიტანოს ცენტრში შრომის სახალხო კომისარიატის დამზღვევ განყოფილებაში, ხოლო ადგილობრივ შრომის განყოფილების დამზღვევ ქვეგანყოფილებაში.

გაცნობებთ რა ამას, წინადადებას გაძლევთ დაჩქარებით წარმოადგინოთ მაზრის და თემების აღმა-

სკომების პრეზიდიუმის და მილიციის განყოფილებების სიეზი, დაწყებული ამა წლის მაისის თვიდან თვიური ჯამაგირის რაოდენობის აღნიშვნით, ანაგუხის მგებელ მომუშავეთა ახალი ტარიფით და დანარჩენი კი ძველი ტარიფის მიხედვით, სათანადო თანხის გამოსათხოვნად.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი გეგეჭკორი

საქმეთა მმართველის მოადგილე ა. ცინცაძე.

ფინ. გან. გამგე. უზნაძე

30 ავგ. 1922 წ.

## ცირკულიარულად

ყველა სამაზრო და საქალაქო აღმასკომის თავჯდომარეს

ადგილობრივ საფუთო გადასახადის შესახებ

ადგილობრივ საფუთო გადასახადის შემოსაღებად ევალება ყველა მაზრების და ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტებს მიიღონ ცნობად და სახელმძღვანელოდ შემდეგი:

იმ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც საჭიროდ იქნება ცნობილი საფუთო გადასახადის შემოღება ადგილობრივ აღმასკომის რაიონის ფარგლებში, ამის შესახებ დადგენილებას გამოიტანს ადგილობრივი აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის და კომუნალურ განყოფილებასთან არსებული კომუნალური საგადასახადო კომისიის შეერთებული კრებული, რომელმაც უნდა აღნიშნოს ამ დადგენილებაში (ცნობები: ა) რა საგანზე იქნება შემოღებული საფუთო გადასახადი (предмет обложения) ბ) გადასახადის რაოდენობა ფუთზე და გ) ის ადგილი, სადაც უნდა მოხდეს საფუთო გადასახადის აკრეფა.

ამ წესით გამოტანილი წესდება უნდა წარედგინოს დასამტკიცებლად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს.

საფუთო გადასახადის დროს უსათუოდ უნდა დატული იქნეს სავაჭრო-სამრეწველო ინტერესებიც და თუ გამოირკვევა, რომ საფუთო გადასახადი შეაფერხებს ვაჭრობას, ასეთი უნდა იქნეს უარყოფილი.

შინაგან საქმეთა სახალხო

კომისარიატის მოადგილე ტალახაძე

საქმეთა მმართველის მოადგილე ა. ცინცაძე

კომუნალურ განყოფილების გამგე პ. კიზირია

6 სექტემბ. 1922 წ.





# ცირკულიარულად

ყველა სამაზრო და ქალაქთა აღმასკომის თავმჯდომარეს

## გადასახადისაგან შემოსულ თანხების შესახებ

ფინანსთა სახალხო კომისარიატის მომართვიდან ირკვევა, რომ ხშირად ადგილობრივი ხელისუფლება სახელმწიფო გადასახადებისაგან შეკრებილ თანხას არ ეპყრობიან ისე, როგორც მოითხოვს კანონი და სესხით თუ სხვა სახით იხმარს თავის საჭიროებისათვის.

გაცნობებთ რა ამას, თქვენი პირადი პასუხის მგებლობის ქვეშ გავალბებთ, თუნდ დროებით არას — ვხით არ იქნეს მოხმარებული გადასახადისაგან შემოსული თანხა ფინანსთა სახალხო კომისარიატის ნება-დაურთველად.

ამათანავე გვეალბებთ ყოველგვარი დახმარება გაუწიოთ საგადასახადო განყოფილებას დაკისრებულ სახელმწიფო საგადასახადო თანხების აკრეფის საქმეში.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე **ტალახაძე**

საქმეთა მმართველის მოადგილე **ცინცაძე**

კომუნალურ განყოფილების გამგე **პ. კიზირია**  
6 სექტ. 1922 წ.

# ცირკულიარულად

ყველა მაზრის და ქალაქის აღმასკომებს

## ცეცხლის მქრობელ რაზმების შესახებ

ადგილობრივი ბიუჯეტის აღდგენასთან დაკავშირებულ კომუნალურ სამსახურისათვის სასყიდლის დაწესების გამო ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები, კომუნალურ წარმოებისაგან მეტი შემოსავლის მიღების მიზნით, ცდილობენ გამოიყენონ ცეცხლმქრობი რაზმები ისეთ სამუშაოზე გაგზავნით, რომელსაც სრულიად არ აქვს კავშირი ცეცხლმქრობის საქმესთან, სახელდობრ: კერძო პირთათვის და დაწესებულებათათვის წყლის მიწოდება, თეატრების დარაჯობა, წყლით ავსებულ ადგილებიდან წყლის ამოქაჩვა და არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ცდილობენ ცეცხლმქრობელთა გამოწვევა ცეცხლის დროს დაასაჩუქრონ სასყიდლით.

ცეცხლის საწინააღმდეგო განყოფილება აცნობებს აღმასკომებს, რომ სასყიდლის შემოდება ცეცხლმქრობი რაზმების მიერ აღმოჩენილ დახმარებისათვის აღკრძალულია საერთოდ და დასაშვებია მხოლოდ შემდეგ კერძო შემთხვევებში:

1) ცეცხლმქრობი მოსამსახურეების მოძიება ბრსათვის თეატრებში, იმ პირობით მხოლოდ იმისი თავისუფალნი არიან იმ საომარ მდგომარეობიდან, რომელშიდაც იმყოფებიან დანარჩენი მოსამსახურეები ცეცხლის მოვლენის მოლოდინში მორიგეობა უნდა იქნას უფასო, თუ სპეცტაკლი ეწყობა უფასოდ, ანდა სახელმწიფოს სარგებლიანობის მიზნით.

2) ცეცხლმქრობი რაზმის მოსამსახურეთა მიერ გაწეულ დახმარებისადვის როგორც კერძო, ისე სახელმწიფო შენობების საკვამლი მიღების ამოწვის დროს.

3) ცეცხლმქრობი რაზმის მოსამსახურეთა მიერ წყლის ამოქაჩვა კერძო ან სახელმწიფო შენობათა სარდაფებიდან შესაძლებელია მოხდეს სასყიდლით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წყალი არ უპირებს განადგურებას, როგორც შენობას, ისე მის მოწყობილობას და თუ დახმარებას არა აქვს სასწრაფო საშვალების ხასიათი სტიქიურ უბედურობის დროს. ისეთ შემთხვევებში, როდესაც წყლის ამოქაჩვა ხდება შენობის გასაწმენდათ ჩვეულებრივის სახით ცეცხლმქრობი რაზმების მოსამსახურეთა მოხმარება უნდა მოხდეს საფასურით

ყველა იმ მუშაობისათვის, გარდა მიღების ამოწვისა, არ შეიძლება მოხმარებული იქნას ცეცხლმქრობის საბარგული (ონიზ) და ისეთი მანქანები. რომლებიც საომარ წესზე არის მოყვანილი. საჭიროების დროს სათადარიგო მანქანები უნდა იქნეს მოხმარებული, ხოლო მუშემა კი შეთანხმებით.

დასაშვებია რა სასყიდლის დაწესება ზემოაღნიშნულ შემთხვევებში, ცეცხლმქრობი რაზმების მოსამსახურეთა მიერ გაწეული სამსახურისათვის ცეცხლის საწინააღმდეგო განყოფილება დაყინებით გავალბებთ, რაც შეიძლება ებრძოლოთ მცხოვრებთა შორის გავრცელებულ რწმენას, თითქოს ცეცხლის დროს ცეცხლმქრობი რაზმის გამოწვევისათვის, მათ უნდა გადახდეთ ჯარიმა ან სხვა რსიმე გადასახადი, რითაც ყოველთვის ფერხდება ცეცხლმქრობი რაზმის ცეცხლის გაჩენის ადგილს თავის დროზე მისვლა

ყველა შემოხსენებულის გამო მთელის თქვენის ძალიდონით, უნდა გაავრცელოთ მცხოვრებლებში და დააჯეროთ ისინი, რომ ცეცხლმქრობთა დახმარება უფასოა ცეცხლის, წყალიდობისა, ჩამოქცევისა (ონბაჟ) და სხვა მათ მსგავს უბედურ შემთხვევებში.

შინაგან საქმეთი სახალხო კომისარის მოადგილე **ტალახაძე**

მაქმეთა მმართველი **დ. ჩიქოვანი**

კომუნალურ განყოფილების გამგე **პ. კიზირია**

ცეცხლ. მქრობი რაზ. მსპექტორის მოადგილე **მაასი**

7 სექტ. 22 წ.



# ცირკულიარულად

ყველა სამაზრო და ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარეს

## შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის შესახებ

როგორც ფინანსთა სახალხო კომისარიატის მომართვიდან სჩანს, საქ. სოც. საბ. რესპ. რევკომის მიერ მიმდინარე წლის თებერვლის 5-ს მიღებულ დებულების მე 2-ე ნაწილის თანახმად დღემდის არც ერთ ადგილობრივ ორგანოს არ შეუსრულებია, ე. ი. არ წარმოუდგენია შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა.

ხშირათ ადგილობრივი ორგანოები ფინანსთა სახალხო კომისარიატიდან გამოითხოვენ დახმარებას ადგილობრივი ხარჯების დასაფარავად, ხოლო ვინაიდან თქვენ მიერ წარმოდგენილი არ არის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა, ამისათვის კომისარიატს არაფართარი ფაქტიური საბუთი არა აქვს იფიქროს, რომ ადგილობრივ ორგანოებს არ ყოფნით ხარჯების დასაფარავათ მათ განკარგულებაში არსებული გადასახადებისა და ბაჟებიდან შემოსული თანხა.

ამ გარემოების გამო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი იძულებული ხდება ყველა შუამდგომლობანი, ადგილობრივ ორგანოებისა, სესხის და დახმარების მიცემის შესახებ თუ წინასწარ წარმოდგენილი არ იქნება შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა, დასტოვოს განუხილველად და უშუამდგომლოდ ფინანსთა კომისარიატის წინაშე.

გაცნობებთ რა ამის წინადადებას გაძლევთ დამატებითი №№ 637 და 799 მოწერილობისა თქვენი პირადი პასუხის მგებლობის ქვეშ, დაუყოვნებლივ გადმოგზავნოთ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კომუნალურ განყოფილებაში თქვენი შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა დასამტკიცებლად.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის დრ.  
მოადგილე ი. იოვიძე

საქმეთა მმართველის მოადგილე ცინცაძე

კომუნალურ განყოფილების  
გამგის მაგ. ნანეიშვილი

12 სექტემბ. 1922 წ.

# ცირკულიარულად

ყველა მაზრა-ქალაქების და ნავთსადგურის მილიციის უფროსებს

## რკინის გზით პატიმართა გადაგზავნის შესახებ

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი გაცნობებთ, რომ პატიმრების რკინის გზით გადაგზავნა

ხდება უფასოდ სატუსალო ვაგონებში, ამასთანავე დართულ ამონაწერით მატარებლების შემოსვლის გეგმის მიხედვით მცველ მხლებელთა რაზმის შენახებით.

ამის გამო ყველა მაზრის მილიციის უფროსებმა უნდა ჩააბარონ პატიმრები სატუსალო ვაგონში სათანადო სადგურზე. ყველა პატიმრებზე უნდა დამზადებულ იქნეს ამასთანავე დართულ ფორმით გაღებული ფურცელი და სხვა საჭირო წერილობითი საჭირო საბუთები ცალ-ცალკე თვითფულზე. შემოხსენებულ წესის გარეშე, პატიმრების გადაგზავნა ხდება ნაღდი ფულის გადახდით საერთო ტარიფით.

საქმეთა მმართველის მოადგილე ცინცაძე

სამილიციო განყოფ. უფროსი ქავთარაძე

საადმინისტრაციო სამსყ. ნაწ. უფროსი ნადირაძე

19 სექტ. 1922 წ.

# ცირკულიარულად.

ყველა მაზრის აღმასკომების თავმჯდომარეებს.

## მიწირელობათა სისწორით შესრულების შესახებ

როგორც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში შემოსულ ცნობებიდან სჩანს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტები ხშირად არ ასრულებენ ჩემს მიწერილობებს, აღმასკომის ქვემდებარე დაწესებულებათა თანამშრომლების ჯამაგირით დაკმაყოფილების შესახებ, და ასეთებს ხელახლად განმარტებისათვის აგზავნიან უმეშვეოდ პირდაპირ ცენტრში და ამით განზე სტოვებენ ჩემდამი რწმუნებულ კომისარიატს, რომელიც ადგილობრივ აღმასკომის უმაღლეს ორგანოა, უხერხულ მდგომარეობაში აყენებენ მას, და შესამჩნევლად აჭიანურებენ აღძრულ საქმის შესრულებას.

ასეთი გზით ცენტრში წარდგენილი მიმოწერები სათანადო ზომების მისაღებათ ისევე კომისარიატს ეგზავნება. ამიტომ, რომ დაცულ იქნეს მთლიანი გეგმა და გაუგებრობა თავიდან აცილებული, ყველა აღმასკომები მოვალენი არიან დაუბრკოლებლივ და სისწორით შეასრულონ ჩემი და კომისარიატის დავალებანი.

გაცნობებთ რა ამას წინადადებას გაძლევთ, რომ ასეთი მოქმედება აღარ განმეორდეს, უკიდურეს შემთხვევაში ჩემს მიერ მიღებულ იქნება სასტიკი ზომები.

შინაგან საქმ. სახ. კომისარი გეგეჟკარი.

საქმეთა მმართველი დ. ჩიქოვანი.

საფინანსო გან. გამგე უზნაძე.

18 ოქტომბერი 1922 წ.





# ცირკულიარულად

ყველა ქალაქების მილიციის უფროსებს.  
ასლი აღმასკომის თავჯდომარეს.

## ბანდიტებთან ბრძოლაში დაზიანებულ მილიციელებთან ოჯახების დახმარების შესახებ.

ვინაიდან მთავრობის მიერ გადაწყვეტილია აღმოეჩინოს ერთდროული დახმარება ბანდიტებთან ბრძოლის დროს დაზიანებულ მილიციელებთან ოჯახებს. მოგიწოდებთ ამის მიღებისთანავე წარმოადგინოთ სამილიციო განყოფილებაში სახელობითი სია (სახელი, მამის სახელი, და გვარი, თანამდებობა) მილიციის იმ თანამშრომელთა, რომელნიც მოკლულ იქნენ ან მიიღეს ჭრილობა ბანდიტებთან შეტაკების დროს ამ სიაში უნდა ჩამოთვლილი იქნენ აგრეთვე მოკლულ და დაჭრილ თანამშრომელთა ოჯახის წევრები: ცოლი, შვილები, მოხუცებული მშობლები და ყველა ისინი, ვინც მოკლულ და დაზიანებულ თანამშრომელთა მზრუნველობის ქვეშ იყვნენ-მათი სახელების გვარების და წლოვანების ჩვენებით.

შ. ს. ს. კომისარის მოადგილე. ტალახაძე,

სამილიციო გან. უფროსი გ. ქავთარაძე.

საორგანიზაციო ნაწ. უფროსი  
ჯ. ძიჭისტარაშვილი.

25 ოქტ. 1922 წ.

# ცირკულიარულად

ყველა მაზრის აღმასკომების  
თავმჯდომარეებს

## მიღებულ ავანსების ანგარიშებისა და საბუთების წარმოდგენის შესახებ.

დღიდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა ვიდრე ამა 1-ლ ოქტომბრამდე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ აღგებულ ავანსებზე და მაზრის მილიციის უფროსებზე გაცემულია ავანსად დიდძალი თანხა; ანგარიშები კი თანხის დახარჯვისა კომისარიატში დღემდის არ არის შემოსული, მიუხედავად წარსულ წლის 29 ივლისის თარიღით და 1030/4668 №-ის ჩემი ცირკულიარულ განკარგულებისა, რომელიც ყველა აღგებულ ავანსკომებს დავალებული ჰქონდათ დაუყოვნებლივ წარმოედგინათ კომისარიატში ანგარიშები გასამართლებელი საბუთებით მათ მიერ გაწეულ ხარჯებისა.

გაცნობებთ რა ზემოაღნიშნულს განმეორებით წინადადებას გაძლეთ, რათა სასწრაფოთ მიიღოთ სათანადო შემდეგი ზომები:

1. დაუყოვნებლივ წარმოდგენილ იქნას კომისარიატში დღიდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა ვიდრე ამა 1-ლ ოქტომბრამდე აღმასკომის და მის ქვემდებარე დაწესებულებათა მიერ მიღებულ ავანსების დახარჯვაში ანგარიშები გასამართლებელ საბუთებით, და შემდეგშიაც სათანადო ანგარიშები იგზავნებოდეს თანხის დახარჯვისთანავე, ან-და იმ ოპერაციის დამთავრებისთანავე, რაზედაც იყო გაცემული ავანსი.

2. მოეთხოვოს აღმასკომის ყველა ქვემდებარე დაწესებულებებს და თანამდებობის პირთ, ვისზედაც ირიცხება გაუმართლებელი ავანსების ორი, კვირის განმავლობაში წარმოადგინონ ანგარიშები გასამართლებელი საბუთებით ან შემოიტანონ ფულად.

3. გარდა ამისა გვევალებათ წარმოადგინოთ ცნობები, როდის და რა №-ით რამდენი თანხის ანგარიშები გადმოგზავნეთ მუშთა და გლეხთა ინსპექციაში, ცენტრში თუ ადგილობრივ განყოფილებაში.

ამასთანავე გაფრთხილებთ რომ თუ ახლო მომავალში არ წარმოადგენთ ანგარიშებს გასამართლებელი საბუთებით და არ მოგვაწვდით საჭირო ცნობებს, შემდეგში მოგესპობათ ავანსების მიცემა მანამდის, სანამ ძველი ავანსების დახარჯვაში ანგარიშებს არ წარმოადგენთ და დამნაშავენი კი იქნებიან მიცემული პასუხისგებაში.

სახალხო კომისარის მოადგ. ტალახაძე.

საქმეთა მმართველის მოად. ცინცაძე.

ფინანსიურ განყოფილ. გამგე უზნაძე.

20 ოქტომბერი, 1922 წ.

# ცირკულიარულად

ყველა სამაზრო აღმასკომებს და  
მილიციის უფროსებს

## სახელმწიფო ქონებათა და ნივთთა აღრიცხვის შესახებ

აღმასკომთა და მილიციის სამმართველოების სახაზინო ნივთების რაოდენობის აღსარიცხავად და საერთო ცენტრალურ საინვენტარო დავთარში შესატანად წინადადებას ვაძლევ ყველა აღმასკომების და მილიციის სამსეო ნაწილებს:

- 1) მოახდინონ აღრიცხვა მთელი ინვენტარისა
- 2) დანაშრონ და დასვან სათანადო შტამპი
- 3) შეადგინონ საინვენტარო სიები და პირი სიებისა შემოწმებული პასუხის მგებელი პირების მიერ გადმოგზავნონ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში შემდეგი ფორმით:



შენიშვნა	ნივთების ხარისხი	
ღვაწვდაყ		
სამსახურის დასრულება		
სამსახურის დასრულება		
ნივთების სახელწოდება		
მგზავი		

ნაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განკარგულების საფასური ნაღდათ, რათა გადგინდეს იქნას საბჭოთა რუსეთის ს. ს. ფ. რ. კომუნალური მეურნეობის მთავარ სამმართველოს სავაჭრო განყოფილებაში.

შინაგან საქმეთა სახალხო კომის. აღ. გეგმეკორი საქმეთა მმართველის მოადგილე ცინცაძე კომუნალურ განყოფილების გამგე ნანეიშვილი ცეცხლმქრობი განყოფილების ინსპექტორი მასსი 30 სექტემბ. 1922 წ.

**ცეცხლმქრობი იარაღების ფასები.**

რ. ს. ფ. ს. რ. კომუნალური მეურნეობის მთავარ სამმართველოს სავაჭრო განყოფილებაში.

საქართველოს ბონებით.

1. ტუმბო ოთხ დიუმიანი, . . . 52.000000 მან.
  2. სარწყავი ქერელის ტარები 2 დიუმიანი თითო არშინზე . . . 157.000 „
  3. სარწყავი ქერელის ტარები 2 1/2 დიუმ თითო არშინზე. . . 198.000 „
  4. წყლის მიმღები ქერელის ტარები 2 დიუმ . . . 1440000 „
  5. სამფენიანი მოძრავი კიბეები . . . 22,680.000 „
  6. სახელდახელო კიბეები. . . 4.140.000 „
  7. წყლის საქაჩი ომბოხა. . . 5.750.000 „
- ჩაფხუტი, ჟღენტლო, ტანსაცმელი და მექანიკური კიბეები არ არის

აღნიშნული ინვენტარის სიები სასწრაფოდ წარმოდგენილ უნდა იყოს.

შინაგან საქმეთა სახ. კომისარი აღ. გეგმეკორი საქმეთა მმართველი ჩიქოვანი

მომარაგების განყ. გამგეს მოადგ. ვლ. ფანიაშვილი

**ცირკულიარულად**

ყველა სამაზრო ქალაქების აღმასკომის თავმჯდომარეს

ცეცხლის საქრობი იარაღების შეძენის შესახებ

გაცნობებთ, რომ ცეცხლის მქრობ რაზმის და საარსებლად (და უკვე დაარსებულისათვის) შევიძლიანთ შეიძინოთ ცეცხლის საქრობი იარაღები ამომართვას თან დართულ ფასების მიხედვით; ფასები აღნიშნულია ქართულ ბონებით ურანკო ოსკოვი. ცეცხლ საქრობი იარაღების შექენა შეიძლიანთ ნაღდ ანგარიშზე. იმ აღმასკომმა, რომელიც განაკხადებს სურვილს იარაღის შექენაზე, უნდა წარმოადგინოს ში-

**ცირკულიარულად**

ყველა სამაზრო აღმასკომებს და მილიციის უფროსებს.

შ: ს. ს. კ. მომარაგების განყოფილებიდან მიღებულ კმაყოფის გასამართლებელ ანგარიშების წარმოდგენის შესახებ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მომარაგების განყოფილებიდან მიღებულ ყოველგვარ კმაყოფის გასამართლებელ ანგარიშის წესის დასაცავად წინადადებას გაძლეეთ ყველა სამაზრო აღმასკომებს და მილიციის უფროსებს ამიერიდან იხელმძღვანელონ და წარმოადგინონ ხოლმე მიღებულ კმაყოფაზე გამამართლებელი ანგარიშები შემდეგ ფორმით:





ფორმა:

ხელის მოწერა პასუხისმგებელ პირს  
 თავმჯდომარე:  
 მდივანი:  
 თანახმად ჩემი ა.წ. ოქტომბრის № 6 ცირკულარიისა, ახალ სამარაგო მოთხოვნილებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს გამამართლებელი ანგარიში აქ ნაჩვენებ ფორმით.

№ №	№-ს საბუთისა და რა ცნობი, რომლითაც მიუღწეო ნივთები შ.ს.ს.კ.	მიღებულ ნივთების სახელწოდება	რაოდენობა
-----	---	------------------------------	-----------

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ალ. გეგეჭკორი.  
 საქმეთა მმართველი დ. ჩიქოვანი.  
 მომარაგების განყოფილების გამგის მოადგილე ვლ. ფანიაშვილი.

პასუხისმგებელი პირის ხელისმოწერა

ნივთების სახელწოდება და რაოდენობა	მიღებულა	ხელისმოწერა
	ნივთების სახელწოდება და რაოდენობა	ინფი იმ
სამაწყაფე		
სთადაწყ		
ნივთების სახელწოდება და რაოდენობა	თანამდებობა	
	ვის მიეცა	

### სირკულიარულად

ყველა სამაზრო აღმასკომს

გადასახადიდან განთავისუფლების შესახებ

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში შემოსულ ცნობებიდან სჩანს, რომ ზოგიერთ სამაზრო თუ თემის აღმასკომები ახდენენ განკარგულებას მილიციისადმი პირდაპირ გადასახადების გადახდების საურაფიდან (გადასახადიდან) განთავისუფლების შესახებ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი გაცნობებთ, რომ პირდაპირ გადასახადების შესახებ არსებობს დეკრეტი, რომლის ძალითაც ყოველგვარ საკითხს არღვევს მხოლოდ ფინანსთა კომისარიატი, ამიტომ აღმასკომებს არა აქვთ უფლება, არამც თუ, გადასახადებიდან გადახდელთა განთავისუფლების, ან შეჩერების, არამედ აღმასკომები ვალდებული არიან ენერგიული ზომები მიიღონ აღნიშნულ გადასახადების სისწორით და დანიშნულ თროზე აკრეფისთვის.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი გეგეჭკორი  
 საქმეთა მმართველი დ. ჩიქოვანი  
 კომუნალურ განყოფილების გამგე ნანეიშვილი  
 19 ოქტომბერა 1922 წ.

### სირკულიარულად

დამოუკიდებელ შემოსავლის მქონე პირთა სიების შესახებ

ფინანსთა სახალხო კომისარიატი ა. წ. 12 ოქტომბრის № 10495—17118-ით აუწყებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, რომ სოფლის აღმასრულებელ ორგანოებს, მიუხედავად იმისა,



რომ მათ წინადადება მიეცა წარედგინათ ა. წ. 1-ლ ოქტომბრამდე მაზრის საგადასახადო განყოფილების გამგეებისათვის, დამოუკიდებელ შემოსავლის მქონე პირთა სია, ასეთი დღემდისაც არ არის წარმოდგენილი და ამით საგადასახადო განყოფილება საშვალელებს მოკლებულია მოახდინოს მიმდინარე წლის საშემოსავლო გადასახადების გაწერა.

გაცნობებთ რა ზემოაღნიშნულს, ვთხოვთ განკარგულებას რათა სასწრაფოდ იქნას წარდგენილი დაწესებული ფორმით დამოუკიდებელ შემოსავლის მქონე პირთა სია, მიმდინარე წლის საგადასახადო განყოფილებების გამგეების მიერ, გადასახადების გასაწერათ.

შინაგან საქმეთა სახ. კომისარი ა. გეგეჭკორი  
 საქმეთა მმართველა დ. ჩიქოვანი  
 კომუნალ. განყ. გამგე ნანეიშვილი

19 ოქტ. 1922 წ.

### ცირკულიარულად

ჩველა მაზრა ქალაქების აქარის, სამხრეთ ოსეთის და წყლის მილიციის უფროსებს

#### მარიამულის შეპყრობის შესახებ

მიიღეთ სასწრაფო ზომები მოქ. გიორგი მოსეს-ძე მარიამულის შესაპყრობათ, რომელსაც ბრალდება აზერბეიჯანის რესპუბლიკაში სახაზინო თანხის მითვისება და შეპყრობილი გადმოგზავნეთ ქ. თფილისში შ. ს. ს. კ. მილიც. განყ.

მოქ. მარიამულის შესახებ არის ცნობები: ის 42 წლისაა და თფილისის მაზრის დილომის ცმხოვრებია.

შინ საქ. სახ. კომ მოადგილე ტალახაძე  
 საქმეთა-მმართველი ჩიქოვანი  
 სამილიც. განყ. უფროსი ქავთარაძე

20 ოქტომბ. 1922 წ.

### ცირკულიარულად

ყველა მაზრა ქალაქების და ნავთ სადგურის მილიციის უფროსს.

#### დებურტირების შეპყრობის შესახებ

სამხედრო კომისარიატის შტაბის მიერ გაცემულია ცირკულიარული განკარგულება 27 სექტემბრიდან № 2554 ყველა მაზრის სამხედრო კო-

მისარიატების მიმართ, რათა შეიპყრონ "დებურტირების" რუნონ ერთეულებში სამსახურისათვის ყველა დებურტირები და არ გამოცხადებულნი, რომელნიც დაიბადნენ 1900 წელს.

გაუწყებთ რა ზემოაღნიშნულს და მოგავიწყებთ რა ჩემ ამა წლის 10 მარტს № 533-1485 ცირკულიარულ განკარგულებას, წინადადებას გაძლევთ, სამხედრო კომისარიატის შტაბის განკარგულების სავსებით და სასწრაფოდ სისრულეში მოსაყვანად, აღმოუჩინოთ ყოველგვარი დახმარება ადგილობრივ სამხედრო კომისარიატებს და მიიღოთ სასწრაფო ზომები, რათა შეპყრობილ იქნენ და გადაგზავნილი სათანადო ერთეულში ყველა დებურტირები.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე ტალახაძე

სამილიციო განყ. უფროსი გ. ქავთარაძე  
 საადმინისტრაციო სამწ. ნაწ. უფროსი ნადირაძე  
 4 ოქტომბ. 1922 წ.

### ცირკულიარულად

ყველა სამაზრო აღმასკომებს და მილიციის უფროსებს

#### სამარაგო მოთხოვნილებათა წესის შესახებ

სამარაგო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების წესის დასაცავად წინადადებას გაძლევთ, რომ:

1) ყოველგვარი სამარაგო მოთხოვნილება იგზავნებოდეს შ. ს. ს. კომისარიატის მომარაგების განყოფილების სახელზე.

2) ყოველგვარი მოთხოვნილება შემოწმებულ იქნეს ადგილობრივ დაწესებულებებში პასუხისმგებელ ხელმძღვანელის მიერ,

3) შ. ს. ს. კომისარიატის მომარაგების განყოფილების საწყობებიდან ნივთების მისაღებად მოვლინებულ თანამშრომლებმა წარუდგინონ განყოფილების ბუხალტერიას ადგილობრივ დაწესებულების სათანადო მინდობილობა მოთხოვნილ ნივთების მიღებაზე.

4) დაწესებულება, რომელიც მიიღებს კმაყოფიას ან სხვა ნივთებს, ვალდებულია აცნობოს მომარაგების განყოფილებას ადგილობრივად ნივთების ფაქტიური მიღება,

5) რადგანაც შემჩნეულია, რომ ხშირად ზოგიერთი მილიციის თანამშრომელი სამსახურის წესრიგის შეუთვისებლობის გამო და ზოგჯერ კი ბოროტი განზრახვით არ უფრთხილდებიან თოფ-იარალს და უმიზნოთ ხარჯვენ ტყვია წამალს, წინადადებას ვაძლევ ყველა მაზრის მილიციის უფროსებს, მათი პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ, იქონიონ





სასტიკი ზედამხედველობა თანაქრომლებზედ და მოსთხოვონ მათ რაიონში მშვიდობიანობის დროს თვითეულ დახარჯულ ტყვიაზედ ანგარიში, ხოლო

6) მიიღონ წესად და სახელმძღვანელოდ, რომ კომისარიატის მომარაგების განყოფილებას, ტყვია-წამლის და ტანსაცმელის გამოწერის დროს, უნდა წარუდგინონ როგორც ტყვია წამლის, აგრეთვე ტანსამოსის განმანაწილებელი ნუხსები, მიმღებთა გამამართლებელ ხელის მოწერით და, საერთო დარიგების აქტი, წინააღმდეგ შემთხვევაში კმაყოფა არ მიეცემათ.

7) აღნიშნული წესები სასტიკად დაცულ იქნეს, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუსრულებლობა ჩაითვლება სამხედრო კანონის დარღვევად.

შ. ს. ს. კომისარი ა. გეგეჭკორი  
საქმეთა მმართველი დ. ჩიქოვანი  
მომარ. გან. გამგე ირ. თაზიშვილი

6 ოქტომბ. 1922 წ.

3) ობერ-ოფიცრები, ზაფრიად პრაპორჩიკები რომელთაც დაუშთავრებიან მოკლევადიანი კურსები სამხედრო სასწავლებლისა ან პრაპორჩიკების სკოლებისა, მაგრამ არ იყვნენ აყვანილი ოფიცრის ხარისხზე ოქტომბრის რევოლუციისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებას დამყარების გამო 50 წლამდე.

4) ყოფილი პოდპრაპორჩიკები (პოდპორუნიეები) მწყობრა, ზემდეგები ვახმისტრები, ნაცვალნი, ფეიერვერკერები, ჟრიადნიკები, რომელთაც არ დაუსრულებიათ სამხედრო სასწავლებლები, ხოლო მიუღიათ ნაცვალთა წოდება, სტოლას კონდუქტორები და ნაცვლები 40 წლამდე.

5) ყოფილი სამხედრო და სამხედრო დროის მოხელენი და უფროსი მწერლები, რომელთაც ჩაუბარებიათ გამოცდა ყოფილ სამხედრო დროის მოხელის წოდებაზე 55 წლ.

6) ყოფილი უფროსი მწერლები 40 წლ.

შიაგან საქმეთა სახალხო კომ. მოადგ. ტალახაძე.

სამილიც. განყ. გამგე ქავთარაძე.

საადმინისტრაციო სამწყობრო ნაწ. უფროსი  
ქიმინტარაშვილი.

10 ოქტომბ., 1922 წ.

### ცირკულიარულად

ყველა მაზრა-ქალაქების, აქარისტანი სამხრეთ-ოსეთის და წყლის შილიციის უფროსებს.

აღრიცხვაზე აყვანილ აღმინისტრაციულ-სამხეო შემადგენლობის პირთა საბუთების შემოწმების შესახებ.

სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატის ა.წ. 13 ივლისიდან № 210 ბრძანებასთან დართულ დასტურლამის თანახმად, ყველა უფროსნი და აღმინისტრაციულ-სამხეო შემადგენლობის პირნი, რომელნიც სცხოვრობენ ს. ს. ს. რესპუბლიკის ფარგლებში და არ ირიცხებიან ნამდვილ სამხედრო სამსახურში აყვანილნი არიან აღრიცხვაზე სათანადო მაზრის სამხედრო კომისარიატებში, რის დასადასტურებლათაც აღნიშნულ პირთ, სამხედრო-რატების მიერ, ეძლევათ სამხედრო სააღრიცხვო ბილეთი.

აღრიცხვაზე ასაყვანათ მოქალაქეთა მიერ აღრიცხვისა და თვით ჯარში გაწვევის თავიდან აცდენის, და მალვისა და ამგვარ შემთხვევების აღსაკვეთად წინადადება ეძლევათ, იმ პირთ, რომელნიც არ წარმოადგენენ სამხედრო სააღრიცხვო ბილეთს, არ მიეცეთ საცხოვრებელი საბუთები და უფლება საცხოვრებლათ გაწერისა, ვიდრე არ წარმოადგენენ სამხედრო სააღრიცხვო ბილეთს ადგილობრივ მაზრის სამხედრო კომისარიატიდან.

- ზემონაჩვენებ პირთ ეკუთვნიან:  
1) ყოფილი ღენერლები და ამირბარები 60 წ.  
2) შტაბ-ოფიცრები 55 წლამდე

### ცირკულიარულად

ყველა მაზრის აღმასკომის თავმჯდომარეს.

შვებულების შესახებ.

თანახმად საქართველოს სახალხო კომისარათა საბჭოს ა.წ. 4 ივლისის თარიღით და 36 №-ს დადგენილებისა შრომის ყოველი დარგის მუშა-მოსამსახურე, რომელსაც სახელმწიფო, საზოგადოებრივ, კერძო საწარმოო და სხვა დაწესებულებაში და კერძო პირთან უმუშავნია განუწყვეტლივ არა-ნაკლებ 5 1/2 თვისა, უფლება აქვს მიიღოს მორიგი შვებულება, რომლის განმავლობაში ეძლევა ყოველ გვარი გასამრჯელო და აგრეთვე ჯამაგირი წინასწარ; ამასთანავე იმ პირს, ვისაც უმუშავნია არა ნაკლებ 5 1/2 თვისა მიეცემა ორი კვირის შვებულება ხოლო ვისაც უმსახურნია არა ნაკლებ 11 თვისა-ერთი თვის შვებულება. მუშა მოსამსახურეს, რომელიც არ ისარგებლებს შვებულების უფლებას საწარმოო ან სხვა დაწესებულებების მიზეზის გამო, მიეცემა კომპენსაციად სათანადო გასამრჯელო საშუალო ხელფასის მიხედვით, რომელსაც მომუშავე იღებდა სამი თვის განმავლობაში შვებულებამდე, ხოლო არა ნაკლებ თვიური სამუშაო გასამრჯელოსი, რომელიც მიიღო უკანასკნელ თვეს შვებულებაში წასვლამდე. ამას-



თანავე კომუნსაციის მეცემა სწარმოებს 11 თვის მუშაობის შემდეგ.

ზემოაღნიშნული არ ეხება იმ შევებულებას, რომელიც მიცემულ იქნება ავადმყოფობის სამკურნალო-საკანტროლო კომისიების მიერ; ამასთანავე ავადმყოფობის გამო მიღებული შევებულება ჩაითვლება სამსახურის ვადაში, რომელიც შევებულების უფლებას ანიჭებს.

გაცნობებთ რა ამას, წინადადებას გაძლევთ, თუ თქვენდამი რწმუნებულ მახრა-ქალაქის მილიციის თანამშრომლებმა შევებულება ითხოვეს და რაიმე მიზეზით არ მიეცათ ასეთი, მოვალენი ხართ ხსენებული კომპესაცია მისცეთ მათ თქვენი შემოსვლიდან.

შინაგან საქ. სახ. კომისარი გეგეჭკორი.

საქმეთა მმართველის მაგ. ა. ცინცაძე.

ფინანს. გან. გამგე პ. უზნაძე.

13 ოქტომბ., 1922 წ.

### სირკულიარულად

ყველა სამაზრო და საქალაქო აღმასკომების თავმჯდომარეებს.

#### შენობების რეკვიზიცია, მუნიციპალიზაციის შესახებ

კომისარიატში ხშირად შემოდის თქვენი შუამდგომლობა მაზრის მცირე ქალაქებსა თუ სოფლად შენობების რეკვიზიცისა და ნაციონალიზაცია-მუნიციპალიზაციის მოხდენის შესახებ.

ზემოაღნიშნულის გამო გაცნობებთ, რომ თანახმად მიღებულ წესებისა, მცირე ქალაქებსა და განსაკუთრებით სოფლად შენობების რეკვიზიცია თუ მუნიციპალიზაცია ნაციონალიზაცია უეჭველად აკრძალულია, მაგრამ, როდესაც სახლი აღცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მას იმავე დროს აქვს სახელმწიფოებრივ მნიშვნელობაც, ყოველ ასეთ შემთხვევაში წინასწარ უნდა იყოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში სამაზრო აღმასკომის პლენუმის მიერ აღძრული დასაბუთებული შუამდგომლობა შემდეგი ცნობებით:

- 1) სახლის მფლობელის სახელი, მამის სახელი და გვარი.
- 2) მისი სოციალური მდგომარეობა და ოჯახის წევრთა რიცხვი.
- 3) ჩამოსართმევი შენობა შედის თუ არა მფლობელისათვის დატოვებულ ნორმაში.
- 4) რომელ დაწესებულებისათვის ან რა დანიშნულებისათვის არის საჭირო შენობა.
- 5) შუამდგომლობა იმ დაწესებულებისა, რომელი უწყებისათვის არის დანიშნული შენობა.

6) ჩამოსართმევი შენობის საცხოვრებელი სივრცე და.

7) ადგილობრივ აღმასკომის პლენუმის დადგენილება ამა თუ იმ სახლის ნაციონალიზაცია თუ მუნიციპალიზაციის შესახებ უნდა გამოეცხადოს მფლობელს, რომელსაც ნება ეძლევა განასაჩივროს აღნიშნული დადგენილება შ. ს. ს. კ. კომუნალურ მეურნეობის განყოფილებაში ერთი თვის ვადის განმავლობაში, დღიდან პლენუმის მიერ დადგენილების გამოტანისა. ამასთანავე, აღმასკომის შუამდგომლობასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი ცნობა, მამულის შეპატრონეთაგან ხელმოწერილი, რომ მათ აღმასკომის დადგენილებს გამოეცხადოთ.

თუ აღნიშნული წესი არ იქნება დაცული, ყოველი შუამდგომლობა სახლის რეკვიზიცისა თუ მუნიციპალიზაცია-ნაციონალიზაციის მოხდენის შესახებ უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ზემოხსენებულის გამო გავალბებთ ამა თუ იმ სახლის ნაციონალიზაცია-მუნიციპალიზაციით აღრიცხვის დროს იმოქმედოთ ფრთხილად და მიზანშეწონილად, ვინაიდან სოფლად და მცირე ქალაქებში სახლების ჩამორთმევა ხშირად გამანადგურებლად მოქმედობს სასოფლო მეურნეობაზე, რაც სახელმწიფო თვალსაზრისით ყოველად დამუშვებელია.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ა. გეგეჭკორი

საქმეთა მმართველი დ. ჩიქოვანი

კომუნალური გან. გამგე ნანეიშვილი

21 ოქტ., 1922 წ.

### სირკულიარულად

ყველა მაზრის აღმასკომს

#### კომუნალურ განყოფილებათაგან 1923 წლის შემოსავალ-გასავლის წარმოდგენის შესახებ

საქ. სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სამაზრო და ქალაქების აღმასრულებელ კომიტეტების მიერ წარმოდგენილ ამა 1922 წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვების გადასინჯვის დროს აღმოჩნდა, რომ თითქმას არც ერთ ხარჯთ აღრიცხვაში არ არის ნაჩვენები გარკვევით, თუ რამდენი შემოსავალი და გასავალი აქვს თვეში ან წელწადში ადგილობრივ აღმასკომებთან არსებულ კომუნალურ განყოფილებებს.

გაცნობებთ რა ზემო აღნიშნულს გავალბებთ მოახდინოთ სასწრაფო განკარგულება, რათა ადგილობრივ კომუნალურ განყოფილების გამგეებმა წარმოადგინონ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში, ამ განყოფილების 1923 წლის შემოსავალ-





გასავლის აღრიცხვა ოც (20) ნომბრამდე ამა 1922 წლისა.

მიუხედავად იმისა, რომ კომუნალურ განყოფილების გამგეებს ევალებათ ცალკე თავიანთ განყოფილების 1923 წლის შემოსავალ გასავლის აღრიცხვის წარმოდგენა, საერთო სამაზრო ხარჯთ აღრიცხვაშია ც კი უსათუოდ უნდა შეტანილ იქნას კომუნალური განყოფილების შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა არსებულ წესით.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის მაგ. ტალახაძე საქმეთა მმართველი დ. ჩიქოვანი კომუნ. განყ. გამგე ნანეიშვილი

გილი საჩივარს სახალხო სასამართლოში წარმოადგენ ნელთათვის მილიციის თანამშრომელთა მიერ სათანადო დახმარების აღმოუჩენლობის შესახებ, დამნაშავენი იქნებიან სასტიკ პასუხის გებაში მიცემულნი. საფუძველი: იუსტიციის სახ. კომისარის მომართვა № 9932 ა.წ. 2/10 და № 11017 23 ოქტომბრიდან.

შინ. საქ. სახ. კომის. მოადგილე. ტალახაძე.

საქმეთა მმართველი დ. ჩიქოვანი.

სამილ. განყ. უფროსი გ. ქავთარაძე.

26 ოქტომბ., 1922 წ.

### ცირკულიარულად

ყველა მაზრა-ქალაქების, აჭარის, სამხრეთ-ოსეთის და წყლის მილიციის უფროსებს.

#### უწყებების ჩაბარების შესახებ.

რესპუბლიკის მილიციის უფროსის ცირკულიარული განკარგულებით, ა. წ. 3 ვილისის თარიღით და 2916/5834 №-ით წინადადება გეძლეოდან თქვენ გაგეცათ მკაცრი განკარგულება, რათა თქვენდამი რწმუნებულ მილიციის თავის დროზე ჩაებარებია ყოველ კერძო შემთხვევებში სახალხო მოსამართლეთა მიერ მოწმეების თუ მოპასუხეთა სახელზე გაგზავნილი უწყებები. მიუხედავად ამისა იუსტიციის კომისარიატიდან შემოდის შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატში ცნობა—საჩივარი იმის შესახებ, რომ მილიციის თანამშრომლები არ ასრულებენ სახალხო მოსამართლეებისა და გამომძიებლების კანონიერ მოთხოვნალებს: მართებული სისწორით არ აბარებენ კუთვნილებისამებრ უწყებებს და ბრალდებულნი არ მიჰყავთ სასამართლოში იძულებით ან-თუ ასრულებენ ამ მოთხოვნალებს არა სასამართლოს მიერ ნაჩვენებ წესით, არამედ თავიანთი შეხედულებით. ასეთი გარემოება ადასტურებს რომ რესპუბლიკის მილიცია არ ასრულებს შემოაღნიშნულ ცირკულიარულ განკარგულებას.

ამიტომ, ამის მიღებისთანავე, წინადადება გეძლევათ გასცეთ სასტიკი ბრძანება თქვენდამი რწმუნებულ მილიციისადმი, რათა თავის დროზე იქნას ჩაბარებული დაინტერესებულ პირებისათვის სახალხო მოსამართლეთა მიერ გაგზავნილი უწყებები და ყოველგვარი კანონიერი მოთხოვნალება სახალხო მოსამართლე-გამომძიებელთა თავის დროზე შესრულებული რითაც სახალხო სასამართლოებს მიეცემა თავის მოვალეობა-დანაშინულების ნორმალურად და დაუბრკოლებრივ ასრულების საშუალება. ამასთან გაცნობებთ, რომ თუ კიდევ ექნა აღ-

### ცირკულიარულად

ყველა მაზრა ქალაქების, აჭარის-ტანის, სამხრეთ-ოსეთის და წყლის მილიციის უფროსებს.

#### სახელობითი სიის წარმოდგენის შესახებ

დამატებით ცრობებისა, რომელიც წარმოდგენილი იქმნა თქვენ მიერ თანახმად მოწერილობისა ა. წ. 31 ივლისიდან № 3200—6819, დაუყონებლივ წარმოადგინეთ სამილიციო განყოფილებაში სახელობითი სია მილიციის იმ თანამშრომელთა და და მილიციელთა, რომელნიც ნამსახურნი კრიან ჯარ ში და აქვთ წოდება აფიცრისა, პრაპორჩიკების. პოდპარუჩიკების (რომელთაც დაუმთავრები(ათ იუნკერთა სასწავლებელი), პოდპარუჩიკების, რომელთაც არ უსწავლიათ იუნკერთა სასწავლებელში), სამხედრო მოხელეების და ზაურიად მოხელეების, ზემდეგების ვახმისტრების ცხენოსან ჯარში) ნაცვლების, უნტერ ოფიცრების ფეხოსან ჯარში და ფეიერვერკერების არტილერიაში), აგრეთვე ყოფილ წითელ არმიელებს მათი თანამდებობის, წლოვანობის, (როდის დაიბადა) ეროვნების, განათლების, პარტიულობის სათანადო ცხრილებში აღნიშვნით.

ეს მოწერილობა უნდა იქმნას ასრულებული არა უგვიანეს ხუთი დღისა, დღიდან მისი ადგილობრივ მიღებისა.

საფუძველი: ინსტრუქცია მილიციის მოწმეების შესახებ 11 მაისიდან 1921 წლ. („შირაგან“ № 5)

შირაგან საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე ტალახაძე

სამილიციო განყოფილების უფროსი ქავთარაძე

საორგანიზაც. ნაწილ. უფრ. ძიმისტარაშვილი

10 ოქტომბ. 1922 წ.



# ცირკულიარულად

# ბრძანება № 14

ყველა მაზრების ქალაქების და ავტონომიურ ერთეულთა აღმასკომებს.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.

ყველა სამაზრო და ქალაქის აღმასკომების კომუნალურ განყოფილებებს.

## პარტიულ მობილიზაციით გაწვეულ პართა და მათი ოჯახების უზრუნველყოფის შესახებ

როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტი გვაცნობებს ზოგიერთ დაწესებულებას არ მოჰყავს სისრულეში სახალხო კომისართა საბჭოს ცირკულიარი პარტიულ მობილიზაციით გაწვეულ პართა და მათი ოჯახების უზრუნველყოფის შესახებ. გარდა ამისა სამხედრო სახალხო კომისარიტიდან მიღებული ცნობებით ადგილობრივი აღმასკომები, მიუხედავთ საქ. საბჭ. სოც. რესპ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დეკრეტისა № 3 არა თუ არ უწევენ დახმარებას წითელ არმიელთა ოჯახებს მიწების დამუშავების დროს, არამედ პირიქით, განაგრძობენ მათ შევიწროებას გადასახადებით და აიძულებენ იმუშაონ ტვირთ-ზიდვის ბეგარის ანგარიშში.

მოვარგებით, რა რომ, თანახმად დეკრეტის № 3, როგორც წითელ არმიელი, ისე მისი ოჯახი, რომელსაც იგი ინახავს, თავისუფალია მისი ჯარში ყოფნის დროს, ყოველგვარ პირდაპირი გადასახადისაგან, ხოლო სასურსათო გადასახადისაგან ნახევრად (§ 5), რომ წითელ არმიელის ოჯახს, რომელიც სოფლის მეურნეობას აწარმოებს, ფულად დახმარების გარდა, უფლება ეძლევა მისი მიწები შემუშავებულ იქნეს საზოგადოების საშუალებით და აგრეთვე ეძლევა უფლება უპირატესი დაკმაყოფილებისა საფაბრიკო-საქარხნო შრეწველობის პროდუქტებით, რომელიც სოფელს გადაეცემა ხოლმე (§ 18), კატეგორიულ წინადადებას გაძლევდ დაუყოვნებლივ მოიყვანათ სისრულეში სახალხო კომისართა საბჭოს ცირკულიარი და ცენტრალურ აღმასკომის დეკრეტი № 3 პარტიული მობილიზაციით გაწვეულ პართა და წითელ არმიელთა და მათი ოჯახების უზრუნველყოფის შესახებ.

## მხედართა და სამხედრო დაწესებულების მოსამსახურე პართა საბინაო პირობების გაუმჯობესებების შესახებ

მხედართა და სამხედრო დაწესებულების მოსამსახურე პართა საბინაო პირობების გაუმჯობესების მიზნით გვევალებათ მიიღოთ სახელმძღვანელოდ და ასასრულებლად შემდეგი:

1) არ იქნეს დაშვებული საცხოვრებელ ბინიდან გამოსახლება წითელ არმიისა და ფლოტის საკომანდო შემადგენლობის, როგორც მათი პირადათ, ისე მათი ოჯახების, და ამასთანავე, სამხედრო აღმინისტრაციული დაწესებულებათა პასუხისმგებელ თანამშრომელთა, გამოუწევისათ განყოფილების გამგის თანამდებობამდე, როგორც მათი პირადათ, ისე მათი ოჯახისა, ს. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 9 № დეკრეტის მე-13-ე § მუხლში აღნიშნულ შემთხვევების გარეშე.

2) ამ ცირკულიარის პირველ მუხლში ჩამოთვლილ პართა კატეგორიის გამოსახლება არ შეიძლება იმ სახლებიდანაც, რომელშიაც ისინი ცხოვრობენ იმ შემთხვევაშიც, თუ სახლების გადაკეთებულ იქნება მუშათა კომუნის სახლებათ, ამ შემთხვევაში 1-ლ მუხლში აღნიშნული პირნი უთანასწორდებიან ფიზიკურ შრომის მუშაკათ.

3) საბინაო გინყოფილება ვალდებულია პირველ რიგში დააკმაყოფილოს ბინით უბინაო მხედარი და სამხედრო დაწესებულებათა მოსამსახურე პირნი.

ამ ცირკულიარის შინაარსი აცნობეთ თქვენდამი დაქვემდებარებულ ქალაქთა კომუნალურ განყოფილებებს და წინადადება მიეცით ჩამოთვლილი დებულება ასასრულონ სისწორით.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე **ტალახაძე**

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე **ტალახაძე**

საქმეთა მმართველი **დ. ჩიქოვანი**

საქმეთა მმართველის მოადგილე **ცინცაძე**

საინ.-საიმ. განყოფილების გამგე **ანდრიაძე**

კომუნალურ განყოფილ. გამგის მაგ. **ნანეიშვილი**

17 ოქტომბ. 1922 წ.

4 სექტემბ. 1922 წ.







# ბრძანება № 325

შინაგან საქმეთა სახელხო კომისარისა

ენიანიდან ახლოვდება ზამთრის დღეები და შენობებისა და ოთახებსა გათბობა აუცილებელია, ამისათვის ევალება ყველა სახლის პატრონებს, სახელმწიფო დაწესებულებების შენობათა და საბჭოთა სახლების გამგეებს, მათი პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ, დაუყონებლივ შეუდგენ შეუკეთებელ საკვამლე მიწების შეკეთებასა და ქვარტლისაგან განწმენდას.

ბრძანების სისწორით ასრულებისათვის თვალყურის დევნება ევალება ქალაქებში და ისეთ დასახლებულ ადგილებში, სადაც არსებობენ ცეცხლის მქრობი ორგანიზაციები, მათ გამგეებს, ხოლო ისეთ ადგილებში, სადაც არ არსებობენ ასეთები კომუნალურ განყოფილების გამგეებს.

შინაგან საქმეთა სახელხო კომისარი **გიგეჰკორი**

საქმეთა მმართველი **ჩიქოვანი**

კომუნ. გან. გამგე **ნანეიშვილი**

9 ოქტომბერი 1922 წ.

# ბრძანება № 328

შინაგან საქმეთა სახელხო კომისარისა

ცეცხლის წინააღმდეგ მოქმედების მიზნით, ქ. თფილისში და კინემატოგრაფების დათვალიერებისათვის, და მათში არსებულ ცეცხლის წინააღმდეგ მოქმედი მოწყობილობათა გამოცდისათვის ინიშნება ცეცხლისაგან დაცვის ინსპექტორის მოადგილე ამხ. მასის თაემჯდომარეობით კომისია რომელშიაც შედიან წარმომადგენლები: განათლების სახელხო კომისარიატიდან ამხ. ივანიკი, ქ. ტფილისის აღმასკომიდან ინჟინერი ავესალომოვი და ქალაქის ცეცხლმქრობი რაზმისაგან პირველი განყოფილების ბრანდმეისტერი ამხ. კამარნიკი.

შინაგან საქმეთა სახელხო კომისარი **გიგეჰკორი**

საქმეთა მმართველი **ჩიქოვანი**

კომუნ. გან. გამგე **ნანეიშვილი**

11 ოქტომბ. 1922 წ.

# ბრძანება № 76

რესპუბლიკის მილიციისადმი

ვაცხადებ ცნობათ და სახელმძღვანელოდ სახელხო კომისართა საბჭოს ამა წლის 28 სექტემბრის № 8057 ცირკულარულ განკარგულებას:

თანახმად სახელხო კომისართა საბჭოს სექტემბრის 21-ს სხდომის დადგენილებისა (ოქმი № 30) დასავლეთ საქართველოში წყალდიდობისაგან დაზარალებულთა დახმარების საქმის ორგანიზაცია და საერთო ხაერთო ხელმძღვანელობა დაეკისრა საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარ კომიტეტს.

გაცნობებსთ რა ამას, სახელხო კომისართა საბჭო წინადადებას გაძღვეთ ყოველივე ცნობებით და განცხადებით წყალდიდობის მიერ, მიყენებულ ზარალისა და აგრეთვე შუამდგომლობით, სათანადო დახმარების აღმოჩენის შესახებ მიმართოთ უშუალოდ საქართველოს დამშეულთა დახმარე მთავარ კომიტეტს.

შინაგან საქ. სახ. კომისარის

მოადგილე **ტალახაძე**

სამილ. გან. უფროსი **ქავთარაძე**

4 ოქტომბერი 1922 წ.

# ბრძანება № 79

ს. ს. ს. რესპუბლიკის მილიციისადმი

სამსახურის გამო ჯილდოს შესახებ

კომისარიატში მიღებული ცნობებიდან ვცანი, რომ ქუთაისის სისხლის სამართლის მილიციამ, მისი უფროსის ხელმძღვანელობის ქვეშ თავის ენერგიით, მუშაობით და მიზანშეწონილი განსაკუთრებული ზომების მიღებით ბოლო მოუღო მრავალგვარ ბოროტ მოქმედებებს, რომელსაც ადგილი ქონდა ამ მილიციის მოქმედების ფარგლებში.

ამ ნაყოფიერ მუშაობაში განსაკუთრებული ენერჯია და გამჭრიახობა გამოიჩინეს შემდეგმა თანამშრომლებმა; საკანდელიძე პროკოფიმ, მიქიაშვილი ვასილმა, ქუთათელაძე ვასილმა, დათიაშვილი შალვამ, ჯაბუკიანი სიმეონმა. დანელია ანდრომ, მამასახლისი არტემამ, სილაკაძე რაქდენმა, საკანდელიძე მიხეილმა და რობაქიძე ავალომ.

ქუთაისის მილიციის ასეთი ნაყოფიერი მუშაობისათვის გულისათად მადლობას უცხადებ ქუთაისის სისხლის სამართლის მილიციის უფროსს ამხ. ნანაძეს და ყველა მისი ღირსეული თანამშრომლებს და მისთან ვაძღვე მათ ჩემ განკარგულებაში მყოფი თანხიდან ჯილდოს სახით: ნანაძეს ხუთ მილიონ მანეთს, ხოლო დანარჩენ ამ ბრძანებაში ჩამოთვ-



ლილ ათი თანამშრომლებლებს, თითო-თითო მა-  
ლიონი მანეთი.

ასლი ამ ბრძანებისა გამოცხადდებულ იქნას  
ბრძანებაში რესპუბლიკის მილიციისადმი.

შინაგან საქ. სახ. კომის. გეგეპკორი

საქმეთა მმართველი ჩიქოვანი

17 ოქტომბერი 1922 წ.



### სავალდებულო დადგენილება

ს. ს. ს. რ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარისა

ცეცხლის საწინააღმდეგო მეთვალყურეობის  
შესახებ.

ცეცხლის წინააღმდეგ საბრძოლველად და მი-  
სი გაჩენის საწინააღმდეგო ზომების მისაღებად ვა-  
დგენ:

1. დაევალოს ადგილობრივ ცეცხლის საწინა-  
აღმდეგო რაზმების როგორც პროფესიონალურს,  
ისე მოხალისეთა უფროსებს მეთვალყურეობის რო-  
გორც პროფესიონალურს, ისე მოხალისეთა უფ-  
როსებს მეთვალყურეობის წესით პერიოდიულად  
მოახდინონ ქალაქებისა და სოფლების, სადაც ცეც-  
ხლის საწინააღმდეგო ორგანიზაცია არის, ცეცხლის  
საწინააღმდეგო მდგომარეობის დათვალიერება და  
გამოკვლევა.

შენი შვნა: იმ ქალაქებისა და სოფლების  
მდგომარეობის დასათვალიერებლად და  
გამოსარკვევად სადაც არ არსებობს ცეც-  
ხლის საწინააღმდეგო ორგანიზაცია, შე-  
იძლება მივლინებულ იქმნას ცეცხლის  
საწინააღმდეგო რაზმის უფროსი, შინა-  
გან საქმეთა სახალხო კომისარიატის ცეც-  
ხლის საწინააღმდეგო განყოფილების გან-  
კარგულებით ან სამაზრო აღმასკომის  
განკარგულებით, პირველის (შ. ს. ს. კ.  
ცეცხლის საწინააღმდეგო განყოფილების)  
ცნობითა და დასტურით.

ცეცხლის საწინააღმდეგო რაზმთა უფროსებს,  
მათზე ამ დეკრეტის პირველი მუხლის ძალით და-  
კისრებულ მოვალეობის სასწრაფოთ და სისწორით  
ასასრულებლად უფლება ეძლევათ:

ა) დაათვალიერონ ყოველგვარი შენობა და  
ნაშენი სახელმწიფო საზოგადოებრივი, კერძო ქარ-  
ხნების, ფაბრიკების, ყოველგვარი წარმოების, აგ-  
რეთვე სარკინისგზო და წყლის ტრანსპორტის შე-  
ნობები.

ბ) ამ მიზნისათვის მათ დაუბრკოლებლივ შესე-  
ლის ნება ეძლევათ თეატრებსა, ცირკებსა და კი-  
ნომატოგრაფებში.

ჰ. ცეცხლის საწინააღმდეგო ორგანიზაციების  
უფროსები ვალდებული არიან თვითიველ შემოწ-  
მების ან გამოსარკვევის შედეგები მოახსენონ შინა-  
ს ცეცხლის სა-

წინააღმდეგო განყოფილებას, თავის დაქვემდებარე  
ხლის საწინააღმდეგო ზომების მისაღებად.  
ის პირნი, ვინც ხელს შეუშლიან, წინააღმდე-  
გობის გაწევით, ცეცხლმქრობი რაზმების უფრო-  
სებს სამსახურისა და ვალდებულობის შესრულების  
დროს, დაისჯებიან სასამართლოს წესით.

აღნიშნული სავალდებულო დადგენილება და-  
ლაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

შინაგანსაქმეთა სახალხო კომისარი გეგეპკორი

საქმეთა მმართველი დ. ჩიქოვანი

კომუნალურ განყოფილების გამგე ნანეიშვილი  
ცეცხლმქრობი განყოფილების უფროსი მაასხი

20 ოქტომბერი, 1922 წ.

### დადგენილება № 23

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა

სასწავლებლებში კერძო პირთაგან ბინების დაც-  
ლის შესახებ

ს. ს. ს. რ. ქალაქებსა და დაბებში სასწავლებ-  
ლების შენობებში ყოფილ გამგეებს, მასწავლებლებ-  
ებსა და ზოგიერთ შემთხვევაში კერძო პირებსაც  
დაკავებული აქვთ საცხოვრებლათ ოთახები.

ვინაიდან შემოხსენებული მოვლენა დაუშვე-  
ბელია და არა ნორმალურია, ვადგენ სამაზრო და  
საქალაქო აღმასკომებმა სისწორით დაიცვან შემდეგი:

1. სასწავლებლის შენობები დაუყონებლივ გან-  
თავისუფლებულ იქნეს სასწავლებლების ყოფილ გამ-  
გეებისა, მასწავლებლების და კერძო პირებისაგან  
და მომავალში სასტიკათ იქნეს აკრძალული სასწავ-  
ლებლებში უცხო პირთა ჩასახლება.

2. სასწავლებელთა შენობებიდან გიმოსახლე-  
ბულ პირთ წინასწარ უნდა მიეცეს შესაფერი ბინა  
სხვაგან.

შინაგან საქმეთა სახ. კომ. მოადგილე ტალახაძე

საქმეთა მმართველი დ. ჩიქოვანი

კომუნალურ განყ. გამგე. ნანეიშვილი

ოქტომბ. 1922 წ.

### დადგენილება

შინაგან საქმ. სახ. კომისარიატისა.

სოფ. გულეჯარის, კეთილარის და კოდორის ცა-  
ლკე სათემო ერთეულად გამოყოფის შესახებ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა, გა-  
ნიხილა რა მოხსენება სენაკის მაზრის აღმასრულე-  
ბელი კომიტეტისა და შუადგომლობა სოფლების:





გულეკარის, (ქუთაისის მაზრა) კეთილარის და კოდორის მე II-ს (სენაკის მაზრა) მცხოვრებთა ცალკე სათემო ერთეულის შექმნის შესახებ სენაკის მაზრაზე მიწერით "და მიიღო რა მხედველობაში: ა) რომ სოფელი გულეკარი საქმიანობით, ერთ, ზნეჩვეულებით, ნათესაობით დაკავშირებულია სენაკის მაზრასთან; ბ) რომ წინათ ეს სოფელი ადმინისტრაციულად სენაკის მაზრის ფარგლებში იყო, გ) რომ თვით გულეკარის მცხოვრებნი ერთხმად დაჟინებით მოითხოვენ ქუთაისის მაზრიდან ამორიცხვას და სენაკის მაზრაზე მიწერას, და რომ ამ შუადგომლობას სრულიად იზიარებენ აგრეთვე კეთილარის და კოდორის II-ს მცხოვრებნი; დ) რომ სოფ. გულეკარის მცხოვრებთათვის ეხლანდელ ცენტრთან-ქორეისუბანთან მიმოსვლა მეტათ გაძნელებულია წყალდიდობის და ცუდი გზების გამო; ე) რომ ადმინისტრაციული გადაწყვენა გულეკარისა არ გამოიწვევს უსათუოდ საყანე მიწების სარგებლობის საქმეშიც რაიმე ცვლევების შეტანის აუცილებლობას. საფონდო საყანე ადგილი „ანჯელი“, სივრცით 900 დესეტინა, რომლის სარგებლობაში დაინტერესებულია, როგორც გულეკარი და თემის დანარჩენი ოთხი სოფელი (ტოლები, ნოლა, ბულნარა და ქორეისუბანი), ისე გამოჩინებულისა და გომის თემთა მცხოვრებნი და აგრეთვე გურიის ზოგიერთი სოფელი, შეიძლება კვლავ დარჩეს იმათ სარგებლობაში, რომელნიც მით სარგებლობენ ამ ჟამათ ვ) რომ, თუ სენაკის მაზრის ნაესაკოვოს თემში ყოფნა კეთილარის და კოდორის მცხოვრებთათვის უხერხულია, როგორც ეს სჩანს მათი განცხადებიდან, მათ შეუძლიათ დაიწესონ ახალი თემი სამი სოფლის შემადგენლობით; გულეკარი, კეთილარი და კოდორი მე-II, რომელნიც ერთმანეთან მეტად ახლო მდებარეობენ.—მიიღო რა ყველა ეს მოსაზრება მხედველობაში, დაადგინა:

- 1) სოფ. გულეკარი ამორიცხულ იქნას ქუთაისის მაზრიდან და მიწერილი სენაკის მაზრაზე.
- 2) საყანე ადგილი „ანჯელით“ სარგებლობა დარჩეს კვლავ უცვლელად, რისთვის ქუთაისის, ოზურგეთის და სენაკის მაზრების ხელისუფალთ მიიღონ ყოველნაირი საჭირო ზომა იმისათვის, რათა ადგილობრივ მკვიდრთ სამივე მაზრებისას არ მოეპოვოს ზემოთ დასახელებული საყანე ადგილით სარგებლობის საშუალება.
- 3) სენაკის მაზრაში დაწესდეს ახალი თემი სამი სოფლის შემადგენლობით: გულეკარი, კოდორი მე-II და კეთილარი, პირველის (ე. ი. გულეკარის) ადმინისტრაციულ ცენტრად გამოცხადებით.
- 4) ბირი ამ დადგენილებისა გაეგზავნოს ყველა სახალხო კომისარიატს, რესპუბლიკის სამილიციო

განყოფილებას, ქუთაისის, სენაკის და ოზურგეთის მაზრების აღმასრულებელ კომიტეტებს და მილიციის უფროსებს, გადასახდთა სამმართველოს და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საინსტრუქტორო საინფორმაციო განყოფილებას.

შინაგან საქმ. სახ კომისარი ა. გეგეჭკორი.

საქმეთა მმართველი დ. ჩიქოვანი.

ადმინისტრატ. გად. საკითხთა შესახებ კონსულტანტი გ. გველესიანი

21 ნოემბერი, 1922 წ.

## ინსტრუქცია

საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მილიციისა

### საერთო დებულება

1. საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მილიცია არის მუშათა და გლეხთა ცენტრალური მთავრობის აღმასრულებელი ორგანო, რომელიც ექვემდებარება მუშათა და გლეხთა მილიციის განყოფილებას და იმყოფება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საერთო ხელმძღვანელობის ქვეშ.
2. საბჭოთა მილიცია, იცავს რა მუშათა კლასის და ღარიბ გლეხობის ინტერესებს, ყოველ თავის მოქმედებაში, ხელმძღვანელობს მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონებით, განკარგულებებით დეკრეტებით და დადგენილებებით.
3. თვითეული მილიციელი, კანონის წინაშე სასტიკი პასუხის გების ქვეშ, ვალდებულია შეასრულოს შემდეგი მოვალეობანი:
  - ა) შეასრულოს ბრძანება და განკარგულება მილიციის უფროსის, მისი თანაშემწისა და სხვა.
  - ბ) დაიცვას სასტიკი დისციპლინა და წესიერება.
  - გ) იყოს პატიოსანი, ფხიზელი და ზრდილობიანი ყველასადმი და განსაკუთრებით სოფლის და ქალაქის ღარიბებისადმი.
  - დ) შეუწყნარებლად დააცხროს ყოველი გამოსვლა მუშათა და გლეხთა მთავრობის წინააღმდეგ.
4. იცავს რა სოციალისტურ სახელმწიფოს ინტერესებს, მილიციელი ვალდებულია დაიცვას კერძო საკუთრებაც უკანონოთ თავდასხმისა და გაგლეჯისაგან ვინაიდან კერძო საკუთრება იმყოფება კერძო მფლობელობაში დროებით და ზოლოს კი ის უნდა გადავიდეს მშრომელთა განკარგულებაში.
5. მილიციელს ეძლევა უფლება ისარგებლოს ეტლით ან ავტომობილით;
  - ა) მთვრალის სათანადო სამილიციო უბანში გასაგზავნად.



ბ) ავადმყოფის საავადმყოფოში ან აფთიაქში მისაყვანათ და

გ) დამნაშავეს დასაქვრად.

6. შეეტლეს ან შოფერს უნდა მიეტეს ხელწერილი, რომელიც იქნება ნაჩვენები, რისთვის და რამდენხანს ისარგებლა მილიციელმა ეტლით ან ავტომობილით, ხელწერილი უნდა წარდგენილ იქნეს იმ სამილიციო უბანში, სადაც მსახურებს მილიციელი.

7. მილიციელს უნდა ჰქონდეს სრული წარმოდგენა იმ ადგილზედ ან ქალაქზედ, სადაც ის მსახურებს.

### საკუმაგო სამსახური

8) საგუშაგო ეწოდება იმ პუნქტს სამილიციო უბნისა, რომელიც ჩაბარებული აქვს მილიციელს სათვალყუროდ, ან სადაც ის სდგას დასაცავად რამესი (საფულე ყუთი, ბეჭედი კარებზე, და სხვა).

9. მილიციელი თავის საგუშაგოზედ არის დამცველი წესიერებისა, ის უნდა იდგეს ისეთ ადგილზედ, საიდანაც მას შეეძლება ყველაფრის დანახვა და სხვებსაც ადვილად შეეძლება მისი დანახვა გაჭირვების დროს დახმარებისთვის მისამართავად (შუა ქუჩა, შუა მოედანი და სხვა)

10. მილიციელს არ აქვს უფლება საგუშაგოზედ ძილისა ან უსაქმო ლაპარაკისა.

11. მილიციელს არ აქვს უფლება დასტოვოს საგუშაგო შემცვლელი მილიციელის მოსვლამდის ან სათანადო უფროსის ბრძანებამდის საგუშაგოს დატოვების შესახებ.

12. მილიციელს შეუძლია დასტოვოს საგუშაგო სამსახურის შესრულების გამო:

ა) ბოროტ-მოქმედების ან ქუჩაში წესრიგის დარღვევის ჩასაქრობათ,

ბ) ბოროტ-მოქმედის სადევრად.

გ) დახმარების აღმოსაჩენად,

დ) დაჭერილის სამილიციო უბანში წასაყვანად

და ე) ბუნებრივი მოთხოვნების მოსახდათ.

13. უეცარი ავადმყოფობის დროს მილიციელი ვალდებულია აცნობოს ეს ელსმენის ან შიკრიკის საშუალებით სამილიციო უბანს და არ დასტოვოს საგუშაგო, სანამ არ შეიცვლება.

14. მილიციელს არ აქვს უფლება თავის იარაღი გადასცეს სხვას.

15. მილიციელი საგუშაგოზედ უნდა იდგეს ფორმაში.

### საკუმაგო სამსახური

რა უნდა იცოდეს მილიციელმა საგუშაგოზედ:

16. თავის საგუშაგოზედ მილიციელმა უნდა იცოდეს:

ა) საგუშაგოს ნომერი,

ბ) საგუშაგოს ირგვლივ მდებარე ქუჩები, მასხვევები, მოედნები,

გ) ეზოების შესავალ-გასავალი კარები

დ) საგუშაგოს განსაკუთრებული დანიშნულება, ესე იგი მილიციელმა უნდა იცოდეს, რისთვის განსაკუთრებულად უნდა მეთვალყურებდეს ის აღნიშნულ საგუშაგოზედ.

ე) ცეცხლის გაჩენის ნიშნები,

ვ) ადგილები, სადაც ხალხი თავს იყრის-თვატრები, კინემატოგრაფები, სასმელ-საქმელის ღუქები, ეკლესიები და სხვა,

ზ) ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებანი, თავის რაიონის ტელეფონის №, პროფესიონალური კავშირები, პარტიული ორგანიზაციები,

თ) ბინათა ნუმერაცია,

ი) აფთიაქების, საავადმყოფოების, ექიმების, ბებია ქალების და საბებიო ინსტიტუტების მისამართები,

### საკუმაგოზედ მილიციელის საერთო მე-თვალყურეობა

17. მილიციელი, რომელიც უნდა შესცვალოს მორიგე მილიციელი, ვალდებულია მიიღოს მისგან ცნობა იმის შესახებ დარჩა თუ არა რომელიმე განკარგულება შეუსრულებელი.

18. თუ მილიციელი იძულებულია დასტოვოს საგუშაგო, ის ვალდებულია საგუშაგოს მეთვალყურეობა მიანდოს მახლობელ მორიგ მილიციელს ან მეეზოვეს.

19. მილიციელი ვალდებულია დრო გამოშვებით დაათვალიეროს მთელი საგუშაგო.

20. მილიციელი ვალდებულია უთვალყუროს, რომ არსად არ სწარმოებდეს ნება დაურთველი ვაჭრობა.

21. მილიციელი ვალდებულია დაიცვას ქუჩებში თავისუფალი უზრუნველყოფილი მოძრაობა, რისთვისაც ვალდებულია აკრძალოს ბინების და სავაჭრო სახლების წინ ქვაფენილზედ ცხენებით და ველოსიპედებით სიარული, და ქუჩებში ავტომობილებით და ეტლებით ჩქარი მიმოსვლა, მილიციელი ვალდებულია დაიჭიროს დამრღვევი ასეთი განკარგულებისა და წარადგინოს ის სამილიციო უბანში, თუ ეს შეუძლებელი გახდება, იმ შემთხვევაში მილიციელი ვალდებულია დაინიშნოს №№ ავტომობილებისა და ეტლებისა მოსახსენებლად თავის უფროსისათვის.

22. მილიციელი ვალდებულია უთვალყუროს, რომ ეტლები, ავტომობილები, ურმები და სხვა გადაამზიდავი საშუალებანი მიდიოდნენ ქუჩებში ირგვლივ მიმავალი ქუჩის ერთი მხრით და მომავალი კი მეორე მხრით.

23. იმ შემთხვევაში თუ, რომ გადაამზიდავი საშუალება ცხენებისათვის სავნებლად დატვირთულია, მილიციელი ვალდებულია აღუკრძალოს მხლებელს ცხენების ცემა და მოსთხოვოს მას ტვირთის შემცირება. შემცირებული ტვირთი ინახება მილიციელის მიერ, რომელიც ვალდებულია ცნობა პატ-





რონის პიროვნების შესახებ მიაწოდოს სათანადო სამილიციო რაიონს.

24. მილიციელი ვალდებულია აღუკრძალოს ტვირთის მატარებელ მეეტლეებს ქუჩებში გაჩერება. იმ ქუჩებიდან, სადაც მსუბუქი ეტლების ხშირი მიმოსვლაა, მილიციელი ვალდებულია მძიმე ტვირთის მეეტლეებს მისცეს მსვლელობა იმ ქუჩებისაკენ, სადაც ეტლების ნაკლები მოძრაობაა.

25. მილიციელი ვალდებულია უთვალყუროს, რომ მეეტლეებს ქალაქში მოძრაობის დროს არ ეძინოთ.

26. მილიციელი ვალდებულია დაიცვას საგუშაგოზედ ყოფნის დროს წესიერება ყოველივე მხრით.

**საგუშაგოზედ მდგომი მილიციელის მოვალეობა ბოროტმოქმედების წინააღმდეგ მძიმედ.**

27. ბოროტმოქმედება არის ისეთი მოქმედება, რომელიც კანონით აკრძალულია, აგრეთვე შეუსრულებლობა იმისა, რაც კანონით შესრულებული უნდა იქნეს.

28. მილიციელი ვალდებულია შეიპყროს ბოროტმოქმედი, მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებული არის წინააღმდეგი მისი დაქერისა.

29. მილიციელი ვალდებულია შეიპყრას და გაგზავნოს სამილიციო რაიონში იქვე ქვეშე მყოფი პირნი.

30. იქვე ქვეშე მყოფი პირნი შეპყრობილი უნდა იქნენ შემდეგ შემთხვევებში:

- ა) როცა მათ აქვთ თვალსაჩინო კავშირი ბოროტმოქმედებასთან.
- ბ) როცა დაზარალებული ან მოწმე პირდაპირ მიუთითებენ ბოროტმოქმედს.
- გ) როცა იქვე ქვეშე მყოფს უნახავენ ბოროტმოქმედების დამამტკიცებელ საგანს.
- დ) როცა იქვე ქვეშე მყოფი პირი შეეცდება გაქცევის, ან დაქერილი იქნება გაქცევის დროს,
- ე) როცა მას არ აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

31. იქვის გამომთქმელი და იქვე ქვეშე მყოფი პირნი და მოწმეები გაგზავნილ უნდა იქნენ სამილიციო რაიონში დასაკითხავად.

32. შეპყრობილი პირი მილიციელმა უნდა განიარაღოს.

33. იმ შემთხვევაში, თუ მილიციელმა შეამჩნია, რომ გვიან ღამით სახლიდან გამოდის ვინმე ხაბაკით, ვალდებულია გამოარკვიოს, მოხდა იმ სახლში ქურდობა თუ არა. დადებით შემთხვევაში ის ვალდებულია შეიპყრას იქვე ქვეშე მყოფი პირი და წარადგინოს ის ხაბაკით უბანში.

34. იმ შემთხვევაში, თუ მილიციელი შეამჩნევს, რომ ღამით ქუჩაში მიდის ვინმე ჩემოდნით, შეხვეული ხაბაკით და სხვა: მილიციელი ვალდებულია გაიგოს სიღდან და სად მიდის ის, გააცილოს ის შემდეგ საგუშაგომდის და დაავალოს მო-

რივ მილიციელს მისთვის თვალყურის დევნება. იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ ის მიიღებს სხვა მიმართულებას, მილიციელი ვალდებულია შეიპყრას ის და წარადგინოს უბანში.

35. მილიციელი ვალდებულია უთვალყუროს სისხლის სამართლის მხრით იქვე ქვეშე მყოფ პირთ გამოარკვიოს ვინ და რა მიზნით ინახულებენ მას და სად და რისთვის დადის ის. აგრეთვე ის ვალდებულია შეკრიბოს ცნობები იქვე ქვეშე მყოფ პირთა კრების ადგილის შესახებ და აცნობოს ეს სამილიციო უბანს.

**საგუშაგოზედ მდგომი მილიციელის მოვალეობა ქუჩების, მოედნების და ეზოების სისუფთავის შესახებ.**

36. მილიციელი ვალდებულია უთვალყუროს და მიიღოს ზომები, რათა ეზოებიდან თავის დროზე გამოქონდეთ ნაგავი და ყველა უსუფთაობა, რათა ყოველ დღე დილა ადრე ასუფთავებდნენ თხრილებს და ქუჩებს, რათა სახურავების თოვლიდან გაწმენდის დროს არ ხდებოდეს ელსმენის და ტელეგრაფის მავთულების და ელექტრონის განათება, რათა ქუჩებში თხრილებზედ გაკეთებული ხიდები იმყოფებოდეს სათანადო მდგომარეობაში, რათა სხვა და სხვა ხელოვნები არ აწარმოებდნენ მუშაობას ქუჩებში, რათა ქუჩებში არ სკრიდნენ შემას, რათა ვაჭრები თავის დროზედ ასუფთავებდნენ ქუჩებს და სავაჭრო მოედნებს, რათა ფეხის ადგილები ბრძანებით განსაზღვრულ დროს სუფთავებოდეს და სხვა.

**მილიციის მოვალეობა უბედურების დროს**

37. უბედურების დროს მილიციელი ვალდებულია დაუყონებლივ აღმოუჩინოს გაჭირვებულთ ყოველივე დახმარება:

- ა) გაგზავნოს სამილიციო უბანში გზადაკარგული პირნი და მიგდებული ბავშვები,
- ბ) გაგზავნოს მახლობელ აფთიაქში ან საფად-მყოფოში ეტლით ან დახმარების კარეტის საშვალეობით უბედური შემთხვევებისაგან დაშავებული პირნი.
- გ) დასტავოს მოკლულთა, უცბად გარდაცვალებულთა და თვით მკვლელთა სხეულები იმ მდგომარეობაში, რომელშიაც ისინი აღმოჩნდა, და აცნობოს ამის შესახებ სამილიციო უბანს,
- დ) წარადგინოს უბანში ხალხისთვის მავნე სულით ავათმყოფნი,
- ე) ელსმენის ან განსაკუთრებული ნაშნების საშვალეობით აცნობოს ცეცხლის დამქრობ რაზმს ცეცხლის გაჩენის შესახებ და ერთად ამასთან მიიღოს ზომები ცეცხლის ჩაქრობის და სახლის და ქონების ცეცხლიდან გადარჩენის შესახებ:



### მილიციის მოვალეობა საზოგადო მუდროების და წესიერების დარღვევის დროს

38. საზოგადო წესიერების და მუდროების დაცვისათვის მილიციელი ვალდებულია:

- ა) შესწყვიტოს ყოველივე ხმაურობა, ყვირილი, ჩხუბი და ლანძღვა-გინება ქუჩებში, მოედნებზედ და საზოგადო ადგილებზედ.
- ბ) შეიპყრას და გაგზავნოს სამილიციო უბანში მოვალეები, რომელნიც მიირყვიან და ეცემიან ან და ყვირიან, ხმაურობენ, ილანძღებიან და ხმა მალლა მღერიან.
- გ) არ მისცეს მგზავრებს საშვალეობა ტრამვაის საფეხურზედ დგომისა.

### მდინარის განაპირს მდებარე საგუშაგოზედ მდგომი მილიციელის მოვალეობა:

- ა) მძლავრი ქარის დროს მილიციელი ვალდებულია აღკრძალოს ნავებით მდინარის ერთი განაპირიდან მეორე ნაპირზედ მგზავრების გადაყვანა,
- ბ) აღკრძალოს ბავშვების მდინარის პირზედ თაშაშობა
- გ) აღკრძალოს ბანაობა გარდა მიმჩნეული ამისათვის ადგილებისა,
- დ) აღკრძალოს მდინარეში ქვების, ნაგავის და სხვა უსუფთაობის ჩაყრა
- ე) მიიღოს ზომები გადასარჩენად იმისა, ვინც მდინარეში იხრჩობა.

### ს ი გ ნ ა ლ ი

39. საგუშაგოზედ მდგომი მილიციელი ვალდებულია მისცეს ორნაირი გაფრთხილების სიგნალი: 1) ორი მოკლე თანდათანობითი სტვენა თავისთავი დახმარების აღმოჩენისა 2) ხანგრძლივი განუწყვეტელი სტვენა შეპყრობისა, როცა მახლობელი მილიციელის განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული უნდა იქნეს გაქცეული კაცის ან მიმავალი ეტლისაკენ.

### რა უნდა ჰქონდეს მილიციელს თავის მოვალეობის შესრულების დროს.

40. თავის მოვალეობის შესრულების დროს მილიციელს უნდა ჰქონდეს: ა) სავარგისი იარაღი და „სასტვენი“ ბ) თავის პიროვნების მოწმობა და ნიშნები, გ) საგუშაგო წიგნი ისტრუქციით, დ) ფანჯარი და საწერი წიგნაკი.

### ოქმების შედგენა

1. ყოველ შემთხვევაში მუშათა და გლეხთა საბჭოს ხელის-უფლების მიერ გამოცემულ დეკრეტების და დადგენილებათა დარღვევისა, მილიციელი ვალდებულია შეადგინოს სათანადო ოქმი.

2. ოქმების შედგენაში მილიციელი ხელმძღვა-

ნელობს არსებული დეკრეტებით, დადგენილებებით და რევოლიუციონური შეგნებით.

3. მილიციელი ვალდებულია შეადგინოს ოქმი ყოველ-შემთხვევაში დაუყონებლივ და, თუ შესაძლებელია, შემთხვევის ადგილზედ.

4. თუ ოქმი შესდგა 12 საათს შემდეგ, მილიციელი ვალდებულია აღრიცხოს ოქმში მიხეზი ასეთი დაგვიანებისა.

5. ოქმში უნდა აღნიშნოს:

- ა) დრო ოქმის შედგენისა,
- ბ) ადგილი ოქმის შედგენისა,
- გ) სახელი, მამის სახელი, გვარი და თანამდებობა ოქმის შემდგენი მილიციელისა.
- დ) მიხეზი ოქმის შედგენისა უფროსის მინდობილება, დაზარალებულის საჩივარი და სხვა).
- ე) საგანი ოქმისა (შემთხვევა, გაჩხრეკა, დავალიერება და სხვა),
- ვ) ვინ დაესწრო ოქმის შედგენის დროს (ბრალდებული, დაზარალებული, მოწმე და სხვა).
- ზ) ვინ, როდის, სად და რა აღმოაჩინა,
- თ) რასში გამოიხატა შემთხვევა,
- ი) სახელი, მამის სახელი, გვარი, ქვეშევრდომობა, პროფესია, ხნოვანობა და საცხოვრებელი ადგილი ბრალდებულისა,
- კ) საფუძველი ბრალდებისა ან იქვისა.
- ლ) ზარალი და მისი რაოდენობა,
- მ) სახელი, მამის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი მოწმეებისა.
- ნ) მოქმედებანი, რომელნიც დაკავშარებულია ოქმის შედგენასთან (ზომა აღკვეცისა, ზომა დამამტკიცებელი საბუთების შენახვის-შესახებ და სხვა.)
- ო) აღნუსხვა საბუთებისა, დამამტკიცებელი საგნებისა და სხვა.

3) დაზარალებულის ან ბრალდებულის გაფრთხილება ყალბი განცხადებისათვის პასუხის გებაში მიცემის შესახებ.

რ) აღნიშვნა ბრალდებულისათვის ოქმის წაკითხვისა.

ს) ხელის მოწერა დამსწრე პირთა და ოქმის შემდგენი მილიციელისა.

7. მილიციელი ვალდებულია წაუკითხოს ოქმი იმ პირთ, რომლებმაც ხელი უნდა მოაწერონ მას.

8. წერის უცოდინარობის გამო, ხელის მოწერის მაგიერ მისი თხოვნით, ხელს ხელს აწერს სხავ პირი.

9. ოქმში არავითარ ამოშლას ადგილი არ უნდა ქონდეს. ყოველივე შესწორება უნდა აღნიშნოს ოქმის ბოლოს, ხელის მოწერამდის.

10. შედგენილი ოქმი დაუყონებლივ უნდა წარედგინოს უფროსს.

11. ერთსა და იმავე დროს ოქმის შედგენისა მილიციელი ვალდებულია:

- ა) დაიცვას ნაშთი ბოროტმოქმედებისა,
- ბ) დაუყონებლივ მიაწოდოს სათანადო ცნობა სისხლის სამართლის მილიციას და
- გ) ერთსა და იმავე დროს აცნობოს შემთხვევის შესახებ სათანადო გამომძიებელს.

12. გამომძიებლის ან სისხლის სამართ-





ლის მილიციის მოსვლამდის მილიცია ვალდებულია მიიღოს დამნაშავეთა შესახებ ზომები აღკვეცისა, მოხდინოს ადგილობრივი დათვლიერება შემოწმება, გაჩხრეკა და ფორმალური დაკითხვა.

# ინსტრუქცია

## იარაღის მიყრდნობა

1. მილიცია ვალდებულია ყოველდღე დაათვალიეროს თავის იარაღი, გაასუფთაოს ის განსაკუთრებული ზეთით და დაიფაროს ის მტკრის, წვიმისა და თოვლისაგან.

2. კაზარმაში ყოფნის დროს მილიციელი ვალდებულია ვინტოვკა მიაყუდოს განსაკუთრებულ ადგილზე და გახსნილ და ჩახმახ ჩამოშვებულ.

3. ბინაზედ ყოფნის დროს მილიციელი ვალდებულია ჩამოკიდოს ვინტოვკა კედელზედ, ან ისეთ ადგილზედ, სადაც დაცულ იქნება მისი ხელუხლებლობა.

4. იარაღის ხმარების შემდეგ მილიციელი ვალდებულია გაზეთოს მისი მოძრავი ნაწილები და გამოსწმინდოს ლულა.

რომელიც უნდა იხელმძღვანელოს მილიციამ საერთოდ ბოროტმოქმედებთა გამორკვევის დროს.

1. ბოროტმოქმედება არის ისეთი მოქმედება ან უსაქმობა, რომელიც აკრძალულია კანონით დასჯის შიშის ქვეშ.

2. ბოროტმოქმედება ექვემდებარება გასარჩევან სახალხო სასამართლოს, რევოლიუციონურ ტრიბუნალს და სავანგებო კომისიას.

3. დევნის აღძვრას მხრით ბოროტმოქმედება იყოფა: 1. ბოროტმოქმედებათ საზოგადო ხასიათისა, რომლის დევნა იწყება საერთო წესით, ესე იგი დაშოუკიდებლად დაზარალებულთა ნებისა; ასეთი საქმეები აღიძვრის ხელის უფლების სხვა და სხვა ორგანოთა მიერ (მილიცია სხვა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებანი და სხვა) და (პ—2) ბოროტმოქმედებათ კერძო ხასიათისა, რომელიც აღიძვრის მხოლოდ დაზარალებულთა ნებით; ასეთი ბოროტმოქმედება შეიძლება დამთავრდეს დაზარალებულის და ბოროტმოქმედი პირის შერიგებით.

4. მილიციის მუშაობა დაკავშირებულია სასამართლოს ორგანოთა მუშაობაზე. ამიტომ მილიცია ვალდებულია: ა) ბოროტმოქმედების შესახებ ცნობის მიღების-თანავე აცნობოს ამაზედ სახალხო სასამართლოს ან კუთვნილებისამიერ, ტრიბუნალის გამომძიებელს, ბ) მიიღოს ყოველივე ზომები ბოროტმოქმედების ნიშნების შესანახავად გ) მიიღოს ზომები ბოროტმოქმედთა აღმოსაჩენად და დასაქერად, დ) დაუყონებლივ შეუდგეს კვლევაძიებას და აწარმოვოს ის მარტივად, სიჩქარით, ლოლიკურად და არსებიდად და ე) დამტკიცებული კვლევაძიება გადასცეს ტრიბუნალის ან სახალხო სასამართლოს გამომძიებელს.

5. მილიციამ უნდა მიიღოს ზომები, რომ კვლევაძიება სწარმოებდეს კანონიერ ფარგლებში და რომ კერძო პირთა ინტერესები კვლევაძიების დროს, რაც შეიძლება, ნაკლებად იქნეს შევიწროებული.

6. მილიცია ვალდებულია ყოველგან და ყოველთვის, დილით და ღამით, საქმი და უქმე დღეებში, მიიღოს სიტყვით და წერილობითი განკარგულებანი ბოროტმოქმედებთა შესახებ.

7. მილიცია ვალდებულია ბოროტმოქმედების შესახებ სიტყვიერი განკარგულებისთანავე შეადგინოს ვრცელი ოქმი განცხადებისა და წერილობითი განცხადებისთანავე დაკითხოს განმცხადებელი პირი არსებითად განცხადებისა.

8) ყოველივე დამამტკიცებელი საგნები და საბუთები ვრცლად მოხსენებული უნდა იქნეს ოქმში.

9. ოქმი განცხადებისა ხელმოწერილ უნდა იქნეს განმცხადებლის და დამკითხველის მიერ.

10. ყოველივე ოქმში უნდა აღინიშნოს: ა) დრო და ადგილი ოქმის შედგენისა, ბ) ვინ, როდის

## მილიციის მიერ სამხასურის დროს იარაღის ხმარება.

სამსახურის დროს მილიციელს ეძლევა უფლება იარაღის ხმარებისა განსაკუთრებულ შემთხვევაში.

1. ცალკე მილიციელი ხმარობს იარაღს შემდეგ შემთხვევებში:

ა) როცა მას თავს ესხმიან იარაღით, ან მის მდგომარეობას უქადის საფრთხე.

ბ) როცა მას თავს ესხმიან, თუ გინდ უიარაღოდ, მაგრამ იმ მიზნით, რომ გააშვებინონ პატიმრები.

გ) როცა გაიქცევა დამნაშავე და არ არის სხვა საშუალება მისი შეპყრობისა.

დ) როცა კერძო პირებს თავს ესხმიან და არ არის სხვა საშუალება მათი გამოსხნისა.

2. მილიციელთა კომანდა ვალდებულია იხმაროს იარაღი:

ა) გაუფრთხილებლად საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლების ჩასაქრობად.

ბ) მილიციელთა კომანდაზე შეიარაღებულთა დაკემის დროს.

გ) ყოველივე სხვა შემთხვევებში სამჯერ გაუფრთხილების შემდეგ.

3. მილიციელი ვალდებულია მოახსენოს თავის უფროსს ყოველ შემთხვევაზედ იარაღის ხმარებისა და აღნიშნოს მოხსენებაში რაოდენობა დაზარალებულთა ვაზნებისა.

4. ქალაქების და მაზრების მილიციის უფროსები და ავრეთვე სისილის სამართლის მილიციის უფროსები ვალდებული არიან მოახსენონ მილიციის განყოფილებას მომავალი თვის 15 რიცხვამდის გასულ თვეში კერძო მილიციელთა და მილიციის კამანდების მიერ იარაღის ხმარების შემთხვევების შესახებ.



და სად აღმოაჩინა ბოროტმოქმედება და დ) სახელი მამის სახელი, გვარი და წოდება ბოროტმოქმედისა, მისი საცხოვრებელი ადგილი და მოწმეები.

11. მილიციის კვლევა ძიება იწყება სწრაფად და წყაროებიდან. ასეთ წყაროებათ ითვლება: ხალხის ხმა, უსახლო წერილი, მოწმეთა განცხადება, დაწესებულებათა და მოხელეთა ცნობა, დახარალებულთა საჩივარი, მილიციის მიერ ბოროტმოქმედების შემჩნევა და დამნაშავეთა ნების ყოფლობითი განცხადება.

12. მილიცია აწარმოებს კვლევა-ძიებას ფარულად-ფარული ძებნის, სიტყვიერი შეკითხვის და ფარული მეთვალყურების საშუალებით. ასეთი საშუალებით შეკრებილ ცნობებს მილიცია ათავსებს ოქმში, რომელსაც ხელს აწერს მხოლოდ ის.

13. მილიცია აწარმოებს კვლევა-ძიებას განსაზღვრული რაიონის ფარგლებში, მაგრამ მილიციას ევალება, როცა ამას მოითხოვს საქმის მდგომარეობა, განაგრძოს კვლევა ძიება თავის რაიონის გარეშეც.

14. იმ შემთხვევაში, როცა მოსალოდნელია, რომ ბოროტმოქმედების კვალი წაიშლება ან გაქრება, მილიცია ვალდებულია სავსებით შესცვალოს სასამართლოს გამომძიებელი და აწარმოგოს საგამომძიებლო მოქმედებანი, როგორც არის ადგილობრივი დათვლიერება, შემოწმება, ფორმალური დახვა, გაჩხრეკა და იქვე ქვეშე მყოფთა წინააღმდეგ მიღება აღკვეცის ზომებისა.

15. კვლევა-ძიების დროს მილიცია ვალდებულია იქვე ქვეშე მყოფთ და ყველა იმ პირთ, რომლებთანაც მას აქვს საქმე, მიუხედავად წყნარად, ზრდილობიანად და მოთმინებით და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვას მუქარა და ძალდატანებას საქირო ცნობის მიღების და დამნაშავეთა გამოტყუებისათვის.

შინ. სახ. კომისარიატის სამილიც. განყ. უფროსი ქავთარაძე

სამწყობრო და საადმინისტრაციო ნაწილის უფროსი ნადირაძე

# შრომის სახ. კომისარიატი

## დადგენილება № 24

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატისა. პურის საცხოვრებელ წარმოებებში სამუშაო დროის მოწესრიგების შესახებ.

ვინაიდან შემჩნეულია პურის საცხოვრებელ წარმოებებში სამუშაო ნორმალურ დროის დარღვევა და სისტემატური შემოღება, შრომის სახალხო კომისარიატმა დაადგინა:

1. ყველა პურის-საცხოვრებელ წარმოებებში მუშაობის დროს დილის 6 საათ. საღამოს 9 საათამდე.

2. ის პურის-საცხოვრებელი, სადაც მუშაობა წარმოებს დილის 6 საათ. საღამოს 9 საათამდე, ვალდებული არიან იყოლონ მუშების ორი წყება.

3. პურის-საცხოვრებელი, რომლებიც არ სარგებლობენ დაქირავებულ შრომით, ან მუშების ერთი წყება ჰყავთ, მუშაობენ დილის დღი 2 საათამდე.

4. ყველა პურის-საცხოვრებელი, მიუხედავად იმისა, სარგებლობენ თუ არა დაქირავებულ შრომით. სრულიად აკრძალულია მუშაობის წარმოება:

1. ღამე—საღამოს 9 საათიდან დილის 6 საათამდე.

2. კვირა და უქმე დღეებში.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, როცა უქმე ზედიზედ ორი დღეა, მუშაობა ნებადართულია მეორე უქმე დღეს, მხოლოდ ამ დღეს მუშაობა ჩაითვლება როგორც ზედმეტ საათების მუშაობა.

5. ეს დადგენილება ვრცელდება ყველა პურის-საცხოვრებელზე, უკლებლივ (ფურნეებზე, თორნეებზე სალაგაშოებზე, ბულკის და ბუბლიკის საცხოვრებელზე და სხვ.).

6. თვალყურის დევნება ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებაზე ევალებათ შრომის ინსპექტორებს.

7. დადგენილება ესე შედის ძალაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

შრომის სახალხო კომისარი, ალ. იაშვილი.

შრომის დაცვის განყოფილების გამგე. ს. გოდაბრელიძე.

22 ოქტომბერი 1922 წ.

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სამაზრო შრომის განყოფილებების შესახებ

1. სამაზრო შრომის განყოფილებები არსდებიან სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებთან და უშუალოდ ექვემდებარებიან საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატს და აგრეთვე სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს, როგორც ერთ-ერთი მისი განყოფილებითაგანი.

შრომის განყოფილებათა ფუნქციები არის შემდეგი:

- ა) შრომის დაცვა,
- ბ) შრომის გარშემო კონფლიქტების გარჩევა,
- გ) შრომისა და ტვირთ-ზიდვის ხარჯის გატარება,
- დ) მუშათა და მოსამსახურეთა დაქირავების მოწესრიგება, (შრომის ბირჟა, უმუშევართა რეგისტრაცია და სამუშაოზე გაგზავნა),





ე) მუშა მოსამსახურეთა სოციალური დაზღვევა,  
 ვ) შრომის შესახებ სხვა და სხვა დადგენილებათა და განკარგულებათა ცხოვრებაში გატარება (სამუშაო ხელფასის ტარიფები, შრომის სტატისტიკა და სხვა).

2. პირველ პარაგრაფში ჩამოთვლილ ფუნქციების ცხოვრებაში გასატარებლად, შრომის განყოფილებებს ევალებათ:

### შრომის დაცვა

1. თვალყურის დევნება შრომის კანონების ცხოვრებაში გატარებაზე, სახელდობრ:

- ა) სამუშაო დროისა,
- ბ) დასვენება და შვებულებისა,
- გ) ქალთა, მოზარდთა და მცირე-წლოვანთა შრომის დაცვის,
- დ) შრომის ხელფასის (მინიმუმი, დროზე მიღება),
- ე) დამქირავებლების მიერ მუშა მოსამსახურეთა სავალდებულო დაზღვევის,
- ვ) მუშათა სადგომების (სახელოსნოების, ფაბრიკების და დაწესებულებების) სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობის,
- ზ) მუშათა ბინების მდგომარეობის და სხვა.

2. შრომის ინსპექტორები და სადაც უკანასკნელი არ არიან—შრომის განყოფილების გამგენი თვალყურს ადევნებენ ყველა წარმოებებს და დაწესებულებებს, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო, საზოგადოებრივ და სამხედრო (თავისუფალ დაქირავებულ მუშა-მოსამსახურეებს) წარმოება დაწესებულებებს. მათი დათვალისწინების დროს უნდა შეივსოს სარევიზიო ფურცლები და თუ შენიშნულია დეფექტები, უნდა იქნეს წარდგენილი მოთხოვნილებანი დეფექტების ასაშორებლად.

შრომის კანონის დარღვევისათვის უნდა შესდგეს ოქმი, რომელიც უნდა წარედგინოს შრომის განყოფილებას ან შრომის სასამართლოს დამნაშავეის პასუხისგებაში მისაცემად.

შრომის კანონების დარღვევად ითვლება შემდეგი დარღვევანი:

- ა) დარღვევა იმ წესებისა, რომლითაც მოწესრიგებულია სამუშაო დრო, მაგ., წარმოებებში 8 საათზე მეტი და დაწესებულებებში 6 საათზე მეტი მუშაობის შემოღება, ხოლო ღამის სამუშაოებებზე წარმოებებში 7 საათზე მეტი, აგრეთვე მოზარდთა (16—18 წ.) 6 საათზე მეტი და მცირეწლოვანთა (14—16 წ.) 4 საათზე მეტი მუშაობაზე დაშვება, და სამუშაო საათების დროს დასვენების მიუცემლობა და სხვა.
- ბ) შვებულების მიუცემლობა (მორიგის დამატებითი და ავადმყოფობის დროს)
- გ) ზედმეტ მუშაობის წესების დარღვევა (ზედმეტ მუშაობის უნებართვოთ წარმოება და ნორმალურ ხანგრძლივობის გადიდება).
- დ) ქალთა და მოზარდთა შრომის შესახებ სპე-

ციალურ დადგენილებათა დარღვევა, სახელდობრ, მათი დაშვება ზედმეტ და ღამის მუშაობაზე, დარღვევა იმ კანონებისა, რომლითაც აკრძალულია ქალთა და მოზარდთა დაშვება განსაკუთრებით მავნე სამუშაოზე, შვებულების მიუცემლობა ორსულ და მშობიარე ქალთათვის, ასეთ შემთხვევაში შვებულების ხანგრძლივობის შეკვეცა და აგრეთვე ძუძუს მაწოვებელ ქალთათვის მუშაობის დროს დასვენების მიუცემლობა,

ე) შრომის ხელფასის შესახებ არსებულ დადგენილებათა დარღვევა, ხელფასის თავის დროზე მიუცემლობა, როგორც ნატურით, ისე ფულით, (აგრეთვე მიუცემელ სანოვანის ფულით აუნაზღაურებლობა), შრომის ხელფასიდან სხვა და სხვა უკანონო გამოქვითვა, საჭეშაო ხელფასის მინიმუმის დარღვევა.

ვ) მუშა-მოსამსახურეთა მიღება-დათხოვნის შესახებ დადგენილებათა დარღვევა, სამუშაოზე მიღება შრომის ბირჟის გარეშე, იმ გამონაკლისის გარდა, რომელიც გათვალისწინებულია კანონში, დათხოვნის დროს ორი კვირით ადრე გაუფრთხილებლობა, მუშაობის ხელფასის მიცემაზე უარის თქმა.

ზ) მუშა-მოსამსახურეების დაუზღვეველობა, დაზღვეულების საპროცენტო ნარიცხების სავადმყოფო კასაში შეუტანლობა,

თ) ტექნიკურ და სანიტარულ წესების შეუსრულებლობა, სპეც ტანისამოსის მიუცემლობა და სხვა.

კ) შრომის დაცვის შესახებ იმ წესების დარღვევა, რომელიც აღნიშნულია შრომის კანონების კოდექსში და შრომ. სახ. კომ. სპეციალურ განკარგულებებში, დადგენილებებში.

წარმოებათა და დაწესებულებათა სანიტარულ-ჰიგიენურ დათვალისწინებას აწარმოებს სანიტარული ინსპექტორი (ექიმი), ტექნიკურ დათვალისწინებას კი ტექნიკური ინსპექტორი (ინჟინერი). უკანასკნელი ავსებენ სარევიზიო ფურცლებს, ამ შრომის შემთხვევებშიც კანონების დარღვევისათვის ოქმს ადგენს მხოლოდ შრომის ინსპექტორი,

შენიშვნა. იმ მაზრებში, სადაც შრომის განყოფილებებთან არ არიან ტექნიკური და სანიტარული ინსპექტორები, საერთო ხასიათის მეთვალყურეობას (არა სპეციალურს) აწარმოებს შრომის ინსპექტორი, მხოლოდ სადაც ასეთიც არაა, შრომის განყოფილების გამგე.

### შრომის გარეკეო კონფლიქტების გარჩევა

3. შრომის განყოფილებასთან არსდება მუდმივი საკონფლიქტო კომისია. უკანასკნელს თავმჯდომარეობს შრომის განყოფილების გამგე ან მისგან დანიშნული პირი. კომისიაში აგრეთვე შედიან წევრებათ ერთი წარმომადგენელი-პროფკავშირებიდან, ხოლო მეორე-ადგილობრივ ისტრუქციის განყოფილებისაგან ან და სახალხო სასამართლოსაგან. საკონფლიქტო კომისია არჩევს კონფლიქტებს დამ-



ქირავებელსა და დაქირავებულის შორის (როგორც კერძო, ისე სახელმწიფოს) შემდეგ ნიადაგზე.

ა) შრომის ხელფასის და სხვა სახის ჯილდოს შესახებ,

ბ) უკანონო დათხოვნის,

გ) კანონიერ შევებულების ან მის მაგიერ კომპენსაციის მიუცემლობის,

დ) კოლექტიურ და აგრეთვე პირად ხელშეკრულების შეუსრულებლობის და მისი ბრუდეთ განმარტების შესახებ და

ე) დაქირავებულ შრომაზე აღმოცენებულ ყველა კონფლიქტებს და დავას.

4. ადგილობრივ საკონფლიქტო კომისიების სხდომები უნდა იყოს საჯარო და უნდა იქნენ გამომსახებულნი მოწმენი ჩვენების ჩამოსართმევად, ადგილობრივ საკონფლიქტო ორგანოების საშუალებით (მაგ. მილიციით) იმ შემთხვევაში, თუ განაჩენის ნებაყოფილობით შესრულებაში უარი იქმნა განცხადებული.

5. ადგილ. საკონფ. კომისიის განაჩენის გასაჩივრება შეიძლება ცენტრალურ საკონფლიქტო კომისიაში (შრომის სახალხო კამისარიატი, ტფილისი), გასაჩივრება უნდა იქნეს შეტანილი სამაზრო შრომის განყოფილებაში, განაჩენის გამოტანის დღიდან სამი დღის განმავლობაში.

6. იმ კონფლიქტების გასარჩევად, რომლებიც წარმოიშვება წარმოების ადმინისტრაციისა—ერთის მხრივ, და მუშებსა და მოსამსახურეებს შორის—მეორე მხრივ, კოლექტიურ ხელშეკრულების დადების, შესრულების და შეცვლის დროს და აგრეთვე სხვა კონფლიქტების დროს, რომელიც წარმოიშვება ორ მხარეს შორის შეთანხმების ნიადაგზე, როცა საჭიროა სახელმწიფოს ჩარევა, შრომის განყოფილებასთან არსდება მომრიგებელი კამერა, რომელიც შესდგება მოწინააღმდეგე მხარეების თანაწილ რიცხვისაგან. იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმებას ვერ მიღწიეს, სადავო საკითხი უნდა გადაეცეს უკანასკნელ განაჩენისათვის სამედიატორო სასამართლოს, რომელიც შესდგება მოწინააღმდეგე მხარეების თითო წარმომადგენლისაგან და ორივე მხარეების მიერ ამორჩეულ თავმჯდომარისაგან, თუ მოწინააღმდეგენი ვერ შეთანხმდნენ თავმჯდომარის არჩევაში, უკანასკნელს ნიშნავს შრომის განყოფილება. სამედიატორო სასამართლოს განაჩენი არის უკანასკნელი და მისი გასაჩივრება არ შეიძლება.

### შრომისა და ტვირთ-სიღვის ხარკის გატარება.

7. შრომის განყოფილება იცავს რა შრომის ხარკის შესახებ არსებულ კანონებს, ანაწილებს რა ცენტრიდან მიღებულ შრომის ხარკით შესასრულებელ სამუშაოებების სიას, პერიოდების მიხედვით.

ა) უთანხმდება სამეურნეო ორგანოების წარმომადგენლებს და ამა თუ იმ სამუშაოს შესასრულებლად, ანაწილებს სიფლებს და თემებს იმისდა მიხედვით, თუ რამდენია რიცხვი შრომის ხარკის მომსდგენებისა,

ბ) გამოჰყავს მცხოვრებნი და ტვირთ-სიღვის საშუალებანი მუშაობის ხელმძღვანელის განკარგულებაში, უკანასკნელი ამუშავებს მათ სამუშაო-ორგანოების და მოსახდელ დღეების მიხედვით, რომელიც ევალება მოიხადოს თითოეულმა შრომის უნარის მქონე მამაკაცმა და ტვირთ-სიღვის საშუალებამ, ამა თუ იმ პერიოდის მიხედვით.

გ) თვალყურს ადევნებს სამეურნეო ორგანოების განკარგულებაში გადაცემულ ტვირთ-სიღვის საშუალებათა და მუშა-ხელის წესიერ გამოყენებას და აღნიშნავს აგრეთვე ხარკის წესით გამოყვანილთა მიერ დაკისრებულ სავალდებულო ნორმის შესრულებას.

დ) ჰკრებს ცნობებს, თუ რამდენი სჭირდება ადგილობრივ სამუშაოთათვის და აღნიშნულ ცნობებს საგანგებო ფორმით ჰგზავნის კამისარიატში დასადასტურებლად.

ე) აწარმოებს შრომის-ხარკის პირადი შრომის მოხდის ნაცვლად ფულადი შეცვლას იმ პირთათვის, რომელთაც შრომის ხარკი არ მოუხდიათ და შემდეგშია არ შეეძცებათ პირადი შრომით მოხდა სხვა და სხვა მიზეზების გამო.

ვ) სახალხო სასამართლოთა და რევოციუციონურ ტრიბუნალების საშუალებით პასუხისგებაში აძლევს იმ სამეურნეო ორგანოების წარმომადგენლებს, რომლებმაც არ გამოიყენეს რაციონალურად მათ განკარგულებაში გადაცემული ტვირთ-სიღვის საშუალებანი და მუშა-ხელი, აგრეთვე იმ პირებსაც, რომლებმაც ისარგებლეს ადმინისტრატიული უფლებებით, (ე. ი. მიიკუთვნეს შრომის განყოფილების უფლებები) წელიწადში ნორმაზე, ე. ი. 6 დღის ზევით და აგრეთვე პერიოდების ნორმაზე ზევით მცხოვრებთა გამოყვანის საქმეში, და იმათაც, რომლებიც გაურბიან შრომის ხარკის გადახდას.

ზ) სტიქიურ უბედურების ან სამხედრო მოქმედების მიერ გამოწვეულ საჭიროებისათვის გამოჰყავს მცხოვრებნი შრომის ბეგარის წესით, შრომის ხარკის ნორმის ვარგეშე.

8. ზემო-ჩამოთვლილ მიზნების განხორციელება შრომის და ხარკის ადგილობრივ ინსტრუქტორს თემის და ადმინისტრატიულ ორგანოების რწმუნებულთა საშუალებით, იმ შემთხვევაში-კი, თუ ასეთი ინსტრუქტორი არ არსებობს, ამ მოვალეობის შესრულება ეკისრება პირადად შრომის განყოფილების გაზგეს.

### მუშათა და მოსამსახურეთა დაქირავების მოწესრიგება

9. მუშათა და მოსამსახურეთა დაქირავების მოწესრიგების საქმეში სამაზრო შრომის განყოფილებებს ევალებათ:

ა) რეგისტრაცია იმ პირებისა, რომლებიც სამუშაოს ეძებენ,

ბ) თავის მოყრა განყოფილებაში მთელი მოთხოვნილებისა მუშა-ხელზე,

გ) სამუშეარზე გაგზავნა,

დ) თვალყურის დევნება, რათა მუშები და მო-





ქვემოთაა

სამსახურები მიღებულ იქმნენ, თანახმად არსებულ დებულებისა.

- ე) ბრძოლა უმუშევრობისთან,
- ვ) დაზღვევა უმუშევრობისაგან
- ზ) საშუალებათა გამონახვა უმუშევართა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

10. ზემო-ჩამოთვლილ ღონისძიებათა შესასრულებლად, შრომის განყოფილება მჭიდროდ უნდა დაკავშირდეს პროფესიონალურ ორგანიზაციებთან და მათი საშუალებით უნდა აწარმოოს მუშაობა.

შუშა-ხელის აღრიცხვა (გაწესრიგება, რეგისტრაცია და მოთხოვნილება) უნდა ხდებოდეს ცენტრიდან მიღებულ ფორმის მიხედვით, სამუშაოზე გაგზავნა უნდა სწარმოებდეს რიგისა და კვალიფიკაციის სასტიკი დაცვით, ამასთანავე პირველ რიგში სამუშაოზე იგზავნება პროფესიონალურ კავშირების წევრები. სამუშაოზე გაგზავნისას მუშები უპირველესად ყოვლისა უნდა გატარებულ იქმნან საექსპერტო კომისიაში, რომელიც ეწყობა შრომის განყოფილებისა და სათანადო კავშირის წარმომადგენლების შემადგენლობით, კვალიფიკაციის გამოსარკვევად.

11. კონტროლი მიღებასა და დათხოვნაზე სწარმოებს შრომის ინსპექტორების (სადაც ასეთი არ არის, შრომის განყოფილების გამგის) მიერ წარმოებათა და ადგილობრივ ფაბრიკის კომიტეტებთან კავშირის დაკავებით. აგრეთვე შრომის განყოფილებისა, პროფესიონალურ კავშირისა და უმუშევართა წარმომადგენლებიდან სდგება კომისიები, რომლებიც პერიოდულად აწარმოებენ წარმოება დაწესებულების დათვალიერებას, მიღების წესის დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, შრომის განყოფილება აძლევს პასუხისმგებაში დამნაშევით არსებულ წესის თანახმად, შრომის განყოფილების გარეშე მიღებულთა კი აღრიცხვაზეც რომ იყენენ აყვანილი, ხსნის სამუშაოდან და მათ მაგიერად აგზავნის რიგში მდგარ უმუშევართ.

12. პროფესიონალურ და სახელმწიფოებრივ ორგანიზაციების საშუალებით წარმოებული ბრძოლა უმუშევრობასთან გამოიხატება შრომის არტელებისა, კოლექტივების და სხვათა ორგანიზაციაში, ამასთანავე თვალყურით უნდა ედევნოს რომ უკანასკნელებს ჰქონდეთ წმინდა შრომის ხასიათი.

უმუშევრობისაგან დაზღვევა გამოიხატება უმეტესად პირველ რიგში პროფკავშირების კვალიფიციურ მუშა-წევრებისათვის დახმარების მიცემაში.

### სოციალურ დაზღვევის განსჯის ციგლება

13. დამზღვევი კასები ეწყობა არჩევნების საშუალებით. მათ მუშაობას ხელმძღვანელობენ ამისათვის გამოყოფილი გამგეობის მუდმივი წევრები და ანხორციელებენ:

- ა) დაწესებულ საპროცენტო ანარიცხების შეკრებას,
- ბ) არსებულ დებულებათა თანახმად აძლევენ დახმარებას იმ მუშებსა და მოსამსახურებს, რომლებშიც დაჰქარჯეს შრომის უნარი დროებით ან

სამუდამოდ და აგრეთვე აძლევენ დახმარებას მათთვის ოჯახის წევრებს.

გ) კასები, მათთვის დაწესებულ სამოქმედო რაიონში აკავშირებენ დაქირავებულ შრომის იმ პირთ, რომლებზედაც ვრცელდება სოციალური დაზღვევა,

დ) ანხორციელებენ ადგილობრივად დაზღვევის მთლიანობას და თანახმად არსებულ ან მომავალში გამოსაცემ წესებისა და დებულებათა მიხედვით, უწევენ საექიმო-სამკურნალო დახმარებას მუშებსა და მოსამსახურებს.

14. დამზღვევი კასები პერიოდულად უგზავნიან ანგარიშებს თავის მოქმედების შესახებ რესპუბლიკის სოციალურ დაზღვევის საბჭოს, უკანასკნელის მიერ დანიშნულ ვადაში, მუშაობის წარმატებისათვის დამზღვევი კასები მოქმედებენ ადგილობრივ გაერთიანებულ პროფკავშირებთან შეთანხმებით და პერიოდულად, პლენუმის კრებებზე აკეთებენ მოხსენებას თვეში ერთხელ თავის მოქმედების შესახებ.

15. დამზღვევი კასები იყენებენ და ანხორციელებენ სოციალურ დაზღვევის შესახებ არსებულ კანონებს და დებულებებს და აგრეთვე რესპუბლიკანურ დაზღვევის საბჭოს; მიერ გამოცემულ ყველა ცირკულიარებს, როგორც გამოცემულს, ისე შემდეგში გამოსაცემს, დანარჩენ გაუთვალისწინებელ შემთხვევებში-კი განმარტებისათვის მიმართავენ რესპუბლიკანურ დაზღვევის საბჭოს, დამზღვევი კასებს ჰყავთ არჩეული სარევიზიო კომისიები, რომლებიც ადვენებენ თვალყურს კასის გამგეობის მოქმედებას და აგრეთვე ამოწმებენ უკანასკნელს-სარევიზიო კომისიის შესახებ არსებულ დებულებათა მიხედვით.

16. დამზღვევი კასები მუშაობენ შრომის განყოფილებებთან შეთანხმებით, ამასთანავე ისინი მიმართავენ მათ სახელმწიფოებრივ ფუნქციებისათვის სოციალურ დაზღვევის კანონების გასატარებლად, მაგრამ, დამზღვევი საბჭოები უშუაშალოდ ექვემდებარებიან საქართველოს შრომის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს რესპუბლიკანურ დაზღვევის საბჭოს.

### შრომის განყოფილების მოვალეობა სტატისტიკურ დარგში.

შრომის განყოფილებებმა უნდა წარადგინონ ანგარიში შრომის სტატისტიკის შემდეგ დარგებში:

- ა) უმუშევართა ყოველთვიური ანგარიში-უმუშევართა მოძრაობის შესახებ,
- ბ) სამრეწველო სტატისტიკა-ყოველთვიური ანგარიშები იმ სამრეწველო დაწესებულებებს შესახებ, რომლებშიაც მუშაობს 10-ზე მეტი მუშა, მუშათა და მოსამსახურეთა მოძრაობის და შრომის ნაყოფიერების შესახებ.
- გ) შრომის დაცვის სტატისტიკა-ყოველთვიური წარმოდგენა შრ. სახ. კომ. სტატისტიკურ განყოფილებაში შრომის ინსპექციის ყველა სახის სარევიზიო ფურცლებისა.



საქართველო

დ) საკონფლიქტო სტატისტიკა-ყოველთვიური ანგარიშები კონფლიქტების მოძრაობისა და გაფიცების შესახებ.

ე) სოციალურ დაზღვევის სტატისტიკა ყოველთვიური ანგარიშები დამზღვევ კასების მოქმედების შესახებ და ფინანსური ანგარიშები.

ვ) სატარიფო სტატისტიკა-ყოველდღიური ცნობები საცხოვრებელ მინიმუმის და შრომის ხელფასის შესახებ.

გ) შრომის ხარკის სტატისტიკა-ყოველთვიური ცნობები შრომის ხარკის მსვლელობის პერიოდების მიხედვით (ანგარიშების წარმოდგენა.)

22. ანგარიშების შედგენა სტატისტიკის სხვადასხვა დარგებში ხდება შემდეგი სახით:

ა) ყოველ უმუშევარზე უნდა შეივსოს საანკეტო ფურცელი. თვის ბოლოში აღნიშნულ საანკეტო ფურცლების მიხედვით დგება უმუშევართა პროფესიონალური და პირადი ანალიზი. გარდა ამისა თანახმად დაწესებულ ფორმებისა, ხდება მუშა-ხელის მოთხოვნილებათა რეგისტრაცია და სამუშაოზე გაგზავნა. პროფესიონალური და პირადი ანალიზების ანგარიშები და აგრეთვე ცნობები მოთხოვნილებასა და მუშა-ხელის სამუშაოზე გაგზავნის შესახებ იგზავნება შრომის სახალხო კომისარიატის სტატისტიკურ განყოფილებაში.

ბ) ადგილობრივი შრომის განყოფილებები ვალდებული არიან შეკრიბონ და წარმოადგინონ ყოველთვიური ანგარიშები იმ სამრეწველოების შესახებ, სადაც მუშა-ხელის რაოდენობა არის არა ნაკლებ 5 მუშა-მომამძრავებელი მანქანით და დანარჩენ სამრეწველოების შესახებ, სადაც მუშაობს არა ნაკლებ 10 კაცისა.

გ) შრომის ინსპექტორების სარევიზიო ფურცლები, ტენზიკური და სანიტარული, ყოველთვიურად იგზავნება და ამუშავებლად შრომის სახალხო კომისარიატის სტატისტიკურ განყოფილებაში.

დ) ყოველ კონფლიქტზე სდგება მიღებული სახის საანკეტო ფურცელი. თვის ბოლოში აღნიშნულ ფურცლების მიხედვით სდგება ანგარიში, რომელიც ეგზავნება ცენტრს.

ე) დამზღვევ კასის ყოველი წევრის ავადმყოფობის, დასახიჩრების და ორსულობის (ფეხმძიმობის) დროს სდგება ანკეტა, შემდეგ უკანასკნელთა მიხედვით; თანახმად მიღებულ ფორმისა, სდგება მთლიანი ანგარიში, რომელიც ეგზავნება შრომის სახალხო კომისარიატის სტატისტიკურ განყოფილებას.

ვ) ყოველ სოციალურ უზრუნველყოფის მიღებაზე სდგება სათანადო ანკეტა, რომელიც ეგზავნება სტატისტიკურ განყოფილებას.

ზ) ყოველთვიურად, საანგარიშო თვის შემდეგ, საშუალოდ 5 რიცხვისათვის, იგზავნება ცნობები შემდეგ პირველ საპირობების საგნების ფასების შესახებ: პური, ბრინჯი, ქართოფილი, კომპოსტო, ლობიო, ხორცზე, თევზზე, რძეზე, ერბოზე, შაქარზე, მარილზე და ჩაიზე, საშუალო ბაზრის ფასების მიხედვით.

### 3. შრომის განყოფილების ურთიერთობა ცენტრთან.

23. ყოველ განკარგულებას, რომელსაც იღებს შრომის განყოფილება, დაუყონებლივ ატარებს ცხოვრებაში. განსაკუთრებულ შემთხვევაში კი იგი აცნობებს ცენტრს იმ მიზეზებს, რომელიც აბრკოლებენ ამა თუ იმ განკარგულების სისრულეში მოყვანას, ამა თუ იმ დებულების ადგილობრივ პირობებთან შეუფერლობას, ყველა შემთხვევაში შრომის განყოფილება ვალდებულია აცნობოს ცენტრს ამა თუ იმ განკარგულების, ცირკულიარის და დებულების მიღებიდან სამი დღის განმავლობაში, უკანასკნელთა შესრულების ან შეუსრულებლობის შესახებ.

24. ყოველ ცალკე შემთხვევისათვის, აღნიშნულ ვადაში, შრომის განყოფილებები ვალდებული არიან წარუდგინონ ცენტრს მის მიერ მოთხოვილი სრული ანგარიში და ყოველი სხვა ცნობები.

25. ყოველ საკითხების შესახებ, რომლებიც კი ადგილობრივად იწვევენ გაუგებრობას და ექვს, შრომის განყოფილებები დაუყონებლივ უნდა დაეკითხონ ცენტრს და იქიდან მიიღონ განმარტებანი. არა ჩვეულებრივ შემთხვევებში კი, როცა საკითხი ადგილობრივად გადაწყვეტას მოითხოვს, შრომის განყოფილებამ უნდა მოითხოვოს წარმომადგენელი ან ინსტრუქტორი.

26. ფინანსურ მხრივ შრომის განყოფილებები ყოველთვიურად ადგენენ ანგარიშს სპეციალურ ფორმით და ასწორებენ ანგარიშს ცენტრიდან ან ადგილობრივ შემოსავლიდან მიღებულ თანხებში.

### ბ) სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებთან და ადმინისტრატიულ ორგანოებთან

27. შრომის განყოფილება, რომელიც ითვლება ადგილობრივ ამლასრულებელ კომიტეტის ერთ-ერთ განყოფილებათ, ექვემდებარება მას საერთო წესით და უდგენს მასაც ანგარიშს. ყოველ იმ შემთხვევაში, როცა აღმასკომი აჩერებს ცენტრის (შრომის კომისარიატის) განკარგულებას და მის გატარების ნებაართვას არ აძლევს შრომის განყოფილებას, უკანასკნელი ვალდებულია დაუყონებლივ აცნობოს ამის შესახებ ცენტრს (შეჩერების მიზეზის ჩვენებით), სათანადო ღირებულებების მისაღებად.

28. შრომის განყოფილება ასრულებს აღმასრულებელ კომიტეტის იმ განკარგულებას, რომელიც ეხება მის ფუნქციონალურ მუშაობას და აგრეთვე არ ეწინააღმდეგება ცენტრის ღირებულებებს.

29. ყოველ ადმინისტრატიულ ხახიათის ზომას რომელსაც კი იწვევს მუშაობის აუცილებლობა, შრომის განყოფილება ანხორციელებს შინაგან მმართველობის განყოფილების და მილიციის საშუალებით.

30. შრომის განყოფილებები შრომის ხარკის ინსტრუქტორის საშუალებით, ხელმძღვანელობენ





თემის რწმუნებულთა მუშაობას შრომის ხარკის გატარების საქმეში.

ბ) პროფესიონალურ ორგანიზაციებთან.

31. არსებითად თავის დანიშნულებით შრომის განყოფილებები ითვლებიან ადგილობრივ გაერთიანებულ პროფკავშირთა სახელმწიფოებრივ აღმასრულებელ ორგანოებათ.

32. შრომის განყოფილების მთელი მუშაობა მიმდინარეობს ადგილობრივ პროფკავშირებთან კონტაქტში, იღებს მონაწილეობას მათ სხდომებში და აგრეთვე იწვევს მათ წარმომადგენლებს თავიანთ თათბირზე. უმუშევრობისა, კონფლიქტებისა, შრომისა და ცვისა, სოციალურ დაზღვევისა და სხვა საკითხების შესახებ აკეთებს მოხსენებებს პროფკავშირების კონფერენციებზე და მუშა-მოსამსახურეების კრებებზე.

33. ყოველი პრინციპიალური ხასიათის საკითხი, რომელსაც იწვევს ადგილობრივი პირობები ცხ რომელიც ითხოვს შრომის განყოფილების მიერ დაოვრებაში გატარებას, სწყდება პროფკავშირებთან შეთანხმებით.

ღ) განყოფილებათა გამგეობის და თანამშრომლების დანიშვნა.

34. შრომის განყოფილებათა გამგეების კანდიტატურას აყენებს პროფკავშირების ორგანოები (სამაზრო ბიურო) და მათ დანიშვნას ადასტურებს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი ან უკანასკნელად ამტკიცებს შრომის სახალხო კომისარიატი ან და უკანასკნელი (შრომის კომისარიატი) პროფკავშირთა და აღმასრულებელ კომიტეტთან თანხმობით უშუალოდ ნიშნავს მათ.

შრომის განყოფილების გამგის მოხსნა ადგილიდან ან მისი გადაყვანა შეიძლება მხოლოდ შრომის სახალხო კომისარიატის ნებართვით.

35. შრომის ინსპექტორებს ირჩევს ადგილკომის ან საქარხნო კომიტეტების კონფერენცია ან და მუშების და მოსამსახურეების საერთო კრება და ამტკიცებს შრომის სახალხო კომისარიატის შრომის და ცვის განყოფილება.

36. შრომის ხარკის ინსტრუქტორების კანდიტატურას აყენებს შრომის განყოფილების გამგე და ამტკიცებს კომისარიატის შრომის ხარკის განყოფილება ან და უკანასკნელი პირდაპირ ნიშნავს მათ თავის შეხედულებით.

37. შრომის განყოფილების გამგის მოვალეობის დროებით აღსრულება (მივლინების, შვებულების და ავადმყოფობის დროს) შეუძლია შრომის ინსპექტორს ან და შრომის ხარკის ინსტრუქტორს იქ კი, სადაც ასეთები არ არიან — დროებით, არა უმეტეს ერთი კვირისა, აღმასრულებელ კომიტეტის რომელიმე განყოფილების გამგეს. ყოველად შეუძლებელია გამგის მიერ თავის ადგილზე ტექნიკურ მუშაკის დატოვება საქმის მწარმოებელი და სხვა.

შრომის ინსპექტორის მოვალეობა არ შეიძლე-

ბა დაეკისროს შრომის ხარკის ინსტრუქტორს, გამგეს კი შეუძლია პირველისა და მეორის ფუნქციების შესრულება.

38. შრომის განყოფილების მუშაკთა ტექნიკურ შემადგენლობას (მდივნებს, საქმის მწარმოებლებს და სხვა.) თანახმად დაწესებულ შტატისა და არსებულ წესებისა, ნიშნავს შრომის განყოფილების გამგე და მათ შესახებ აწვდის საჭირო ცნობებს.

ნასუსხისმგებლობა აღნიშნულ დებულების შესრულებისათვის.

39. აღნიშნულ დებულებაში ჩამოთვლილ ყველა პუნქტების შესრულებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება შრომის განყოფილების გამგეს, შრომის და ცვის ნაწილში-შრომის ინსპექტორს და დამზღვევ კასის მოქმედების ნაწილში-დამზღვევ კასის არჩეულ მომუშავეთ.

შენიშვნა: შრომის ინსპექტორი საერთო ხელმძღვანელობის მხრივ ექვემდებარება შრომის განყოფილების გამგეს და ყოველდღიურ ხასიათის მუშაობას აწარმოებს ცენტრალურ შრომის და ცვის განყოფილების ინსტრუქციების მიხედვით;

შრომის სახალხო კომისარი იაშვილი.

საქმეთა მმართველი ბარნაბიშვილი.

საორგანო-საინ. ქ. განყ. გამგე თურქია.

სირკულიარი № 57

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატისა. ყველა სახელმწიფო და-კერძო დაწესებულებებს ზედმეტ მუშაობის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს დებულება ზედმეტ მუშაობის შესახებ (დადგენილება 30 აგვისტოს თარიღით № 2 „ზარია ვოსტოკი“ № 63, 2 სექტემ.) ბევრ წარმოებასა და დაწესებულებაში, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო, შემჩნეულია ზედმეტ მუშაობის სისტემატიური შემოღება.

შრომის სახალხო კომისარიატი ამით აცხადებს, რომ დაწესებულ ნორმალურ სამუშაო საათების გადიდება იმ შემთხვევების გარდა, რომელიც გათვალისწინებულია ზემოდ აღნიშნულ დადგენილებაში, განხილულ იქნება როგორც შრომის და ცვის კანონების დარღვევა და დამნაშავენი — პასუხისმგებელი ხელმძღვანელები, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო წარმოების და დაწესებულების სასტიკ პასუხისგებაში იქნებიან მ-ცემულნი.

განსაკუთრებულ შემთხვევაში, როცა ნამდვილათ აუცილებელია ზედმეტ მუშაობის შემოღება



ეროვნული

# ფინანსთა სახ. კომისარიატისა

## ბ რ მ ა ნ ე ბ ა

(რომელიც გათვალისწინებული არ არის № 2 დადგენილებაში), ამის ნებართვის მისაღებად უნდა მიმართონ სათანადო კავშირს და შრომის სახალხო კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილებას, და ვიდრე უკანასკნელი არ დაადასტურებს, ასეთი ნებართვა არ ჩაითვლება კანონიერად.

შრომის სახალხო კომისარი ალ. იაშვილი.

შრომის დაცვის განყოფილების გამგე  
ს. ვოდაბრელიძე.

22 ოქტომბერი 1922 წ.

### დადგენილება № 8.

ს. ს. ს. რ. უმაღლეს სატარიფო საბჭოსი—1922 წ. ოქტომბრის 23. იმ აღრიცხულ პროდუქტთა ღირებულების გამოქვეყნებას წესის შესახებ, რომელიც ედება საფუძვლად კოლექტიურ ხელშეკრულებათა განაკვეთის გამოანგარიშებას.

იმ აღრიცხულ პროდუქტთა ღირებულების გამოქვეყნების არსებულ წესის შესაცვლელად, რომელიც ედება საფუძვლად კოლექტიურ ხელშეკრულებათა განაკვეთის გამოანგარიშებას, ს. ს. ს. რ. უმაღლესი სატარიფო საბჭო ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სატარიფო განაკვეთის განსაზღვრისათვის დაწესებულ პროდუქტთა ღირებულებას აქვეყნებს უმაღლესი სატარიფო საბჭო თვეში ორჯერ. ყოველ 1-ლსა და 15 რიცხვში.
2. პროვინციისათვის პროდუქტების ღირებულება წესდება უმაღლეს სატარიფო საბჭოს მიერ გამოქვეყნებულ ნომრების მიხედვით, სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება № 51 ით დაწესებულ სატარიფო ზოლებთან შეფარდებით.
3. ყველა ადგილობრივ სამაზრო პროდუქტობებსა და შრომის განყოფილებათ (მათ შორის აფხაზეთის, აჭარის და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკების) ევალებათ სავსებით გაატარონ ცხოვრებაში ეს დადგენილება.
4. დადგენილება ესე შედის ძალაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

უმაღლეს სატარიფო საბჭოს თავმჯდომარე  
ა. მიქაძე.

მდივანი. ვ. ბოკუჩავა.

არაპირდაპირ გადასახადთა და საბაჟო განყოფილებებს და ხაზინებს.

ფინანსთა სახალხო კომისარს, არსებულ კანონების ძალით უფლება აქვს გადასინჯოს და შესცვალოს სააქციზო გადასახადთა განაკვეთები იმ საგნებზე, რომელთაც ედება აქციზი მათი საშუალო ვასაყიდი ფასების და ტოლ ფარდულ პროცენტულ აქციზის აკრეფის კანონის მიხედვით.

დღეს, 20 ოქტომბერს, ჩემ მიერ დამტკიცებულია აქ თანდართული ახალი ცხრილი სხვა და სხვა საგნებზე, აქციზების გადიდების შესახებ, რომელიც უნდა იქნეს შემოდებული თამბაქოს ნაწარმოებზე (მოსაწევი თამბაქო და პაპიროსები) კონიაკის და სხვა ყოველგვარ სპირტზე, სპირტის ნაწარმოებზე და ლუღზე 1 ნოემბერს, ასანთზე, ჩაიზე და შაქარზე და სახარინაზე—3 ნოემბერს და ყოველგვარ ღვინოზე 4 ნოემბერს.

ამის გამო წინადადება ეძლევა არაპირდაპირ გადასახადთა და საბაჟო განყოფილებებს და ხაზინებს მიიღონ სახელმძღვანელოდ და ასასრულებლად შემდეგი:

1) 1 ნოემბერს აქციზის ზედამხედველობა გამოუშვებს თამბაქოს ფაბრიკებიდან თამბაქოს ნაწარმოებს (მოსაწევი თამბაქო და პაპიროსები) ხვედრი აქციზის გადახდევინებით თანახმად ახალი ტარიფისა.

შენიშვნა: გადიდებული აქციზი უნდა გადახდეს იმ თამბაქოს ნაწარმოებებსაც, რომელიც უკვე ბანდეროლ გადაკრულია და ინახება ფაბრიკაში მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ნაწარმოებნი გატარებული № 4 და № 5 ფაბრიკის დავთრებში 1 ნოემბრამდის.

2) იმავე დღიდან ლუღის ქარხანას ეძლევა ლუღის მოსახარშავი მოწობა ალაოზე აქციზის გადახდევინებით თანახმად ახალის ტარიფისა.

3) იმავე დღეს კონიაკის და ყოველგვარ სპირტის ქარხნებში და ამ საგნების საწყობებში აქციზის ზედამხედველობა აღნუსხავს კონიაკის, სპირტის და დამზადებულ კონიაკის რაოდენობას, უბრალო სპირტის და არყის და შეაწერს ნაშთს ყოფილ და ახალი ტარიფების შორის აქციზების განსხვავებას, ეს განსხვავება უბრალო სპირტზე და არაყზე შეწერილი საწყობებში გადახდილი უნდა იქნეს 7 დღის განმავლობაში თუ შეწერილი აქციზის რაოდენობა არ აღემატება 10.000.000 მანეთს წინააღმდეგ შემთხვევაში საწყობის პატრონს ნება აქვს მისცეს სპირტი და არაყი დროებით აქციზის უწყების ზედამხედველობის ქვეშ და იხადოს აქციზი ხარჯვის მიხედვით წინასწარ, თუ ამის შესახებ საწყობის პატრონი მიიღებს არაპირდაპირ გადასახადთა განყოფილებისაგან განსაკუთრებულ ნებართვას.







4) იმავე დღეს აქციზის ზედამხედველობა აღ-  
ნუსხავს სპირტის, შორსების, ესენციების და დაუხა-  
რჯავ ბანდეროლების რაოდენობას, სპირტის ნაწარ-  
მოების (ლიქორების) ქარხნებში და სპირტის და  
ბანდეროლების ნაშთებს შეაწერს ყოფილი და ახა-  
ლი ტარიფების შორის განსხვავებას, რომელიც  
უნდა იქნეს შეტანილი ხაზინაში 7 დღის განმავ-  
ლობაში.

5) 3 ნოემბერს აქციზის ზედამხედველობა აღ-  
ნუსხავს საზღვარ-გარეთული და ადგილობრივი ჩაის,  
სახარინის და შაქრის რაოდენობას, სახალხო კომი-  
სარიატების, სახელმწიფო მამულების და ყოველ-  
გვარ სახელმწიფო და კერძო დაწესებულებების სა-  
წყობებში და სავაჭროებში, სადაც კი მზადდება,  
ინახება და იყიდება ეს საგნები (საწყობები რკინის  
გზის, სადგურებისა, ნავთ-სადგურებისა, სატრანსპორ-  
ტო საზოგადოებებისა, ბანკებისა, კოოპერატიულ  
დაწესებულებებისა, და სხვა ყოველ გვარ სავაჭრო-  
ებში) და აღმოჩნდნენ ნაშთს, თუ ეს საგნები უკვე  
აქციზ გადახდილია თანახმად ყოფილ-ტარიფისა,  
შეაწერს ძველი და ახალი ტარიფების შორის აქცი-  
ზის განსხვავებას, რომელიც შეტანილი უნდა იქნეს  
ხაზინაში 7 დღის განმავლობაში თუ შეწერილი  
აქციზის ჯამი აღემატა 10.000.000 მანეთს და სა-  
წყობის პატრონი მიიღებს არაპირდაპირ გადასახა-  
დათა განყოფილებისაგან ამის შესახებ ნებართვას,  
მას შეუძლია აღმოჩენილი საგნები მისცეს აქციზის  
უწყების ზედამხედველობის ქვეშ და იხადოს აქცი-  
ზის წინასწარ, დახარჯვის მიხედვით. გაუნაწილებე-  
ლი ჩაი, რომელიც აღმოჩნდება ჩაის გასანაწილე-  
ბელ განყოფილებებში მოყვანილი უნდა იქნეს  
აგრეთვე ცნობაში, ამასთანავე ერთად ჩაის გასანა-  
წილებელ განყოფილებებში უნდა იქნეს აღნუსხუ-  
ლი დაუხარჯავი ბანდეროლები ჩაის და შეეწერო-  
ნაშთის დამატებითი აქციზი, თანახმად ახალის ტა-  
რიფისა, რომელიც უნდა იქნეს შეტანილი ხაზინა-  
ში 7 დღის განმავლობაში.

**შენიშვნა:** აღნუსხულ ჩაის და სახარინის ხვე-  
ულებზე და კოლოფებზე აქციზის ზედამხედველობა  
დაასვამს დამლას დასამტკიცებლად იმისა, რომ ეს  
საგნები უკვე აღნუსხულია და აქციზ გადახდილია.

6) 4 ნოემბერს აქციზის ზედამხედველობა აღ-  
ნუსხავს ყოველგვარ ღვინის რაოდენობას ღვინის  
სარდაფებში და საწყობებში და შეაწერს მას დამა-  
ტებითი აქციზს თანახმად ახალი ტარიფისა, რომე-  
ლიც გადახდილ უნდა იქნეს ღვინის დახარჯვის  
დროს, წინასწარ.

7) შემოაღნიშნულ საგნებს აქციზის მოხელე-  
ები მოიყვანენ ცნობაში ყოველგვარ დაწესებულე-  
ბებში და სავაჭროებში პატრონების ანუ მათი  
რწმუნებულების თანადასწრებით ამახედ შედგენილი  
უნდა იქნეს ოქმი ორ ცალად, ერთი უნდა ჩაბარ-  
დეს პატრონს ანუ რწმუნებულს, და მეორე კი წარ-  
მოდგენილ უნდა იქნეს არაპირდაპირ გადასახდათა  
განყოფილებაში.

8) შემოაღნიშნულ ვადებიდან ყოველი საგა-  
ნი, რომელსაც ვდება აქციზი, გამოშვებული უნდა

იქნეს საბაჟოდგან აქციზის გადახდით ~~...~~  
ახალი ტარიფისა.

9) შემოაღნიშნულ ვადებიდან ხაზინები გას-  
სცემენ ფსიან ბანდეროლებს თანახმად ახალი ტა-  
რიფისა.

10) არაპირდაპირ გადასახდათა განყოფილება  
მიიღებს სათანადო ზომებს, რომ ეს განკირგულება  
მიაწოდონ საბაჟოებს, ხაზინებს და მაზრების აქცი-  
ზის ინსპექციას სასწრაფოდ.

ფინანსთა სახ. კომ. მოადგ. ბ. ბიბინეიშვილი

არაპირდაპირ გადასახდათა განყოფილების  
გამგე ნ. ლამბარაშვილი

20 ოქტომბერი 1922 წ. ქ. თფილისი

### ც ხ რ ი ლ ი

აქციზის რაოდენობისა იმ საგნებზე, რომლებ-  
ბზედაც შემოღებულია არაპირდაპირი გადასახადები,  
დამტკიცებულია ს. ს. ს. რ. სახალხო ფინანსთა-  
კომისრის მიერ 1922 ოქტომბრის 20-ს.

№პპ	სახელწოდება საგნებისა, როგზე რომელთაც ვდება აქციზა.	საგნების რაოდენ- ობა	აქციზის რაოდენობა მანგ- თიანით.
<b>ჯგუფი 1.</b>			
1.	ჩაი საზღვარ გარეთული	1 გირ.	20.000
2.	ჩაი ადგილობრივი	1 გირ.	5.000
3.	შაქარი (რაფინადი და ფხვნილი)	1 ფუთი	60.000
<b>ჯგუფი 3.</b>			
4.	ღვინო მსუბუქი	1 ვედ.	48.000
5.	ლუდი	1 ფულათ	600.000
6.	სპირტი ხილეულობის და ყუ- რძნის	1 გრად.	2.000
<b>ჯგუფი 4.</b>			
7.	სახარინი	1 გრამ.	1.000
8.	სპირტი პურისა	1 გრად.	10.000
9.	კონიაკის სპირტი და კონიაკი	1 გრად.	15.000
10.	ღვინო ტკბილი სადესერტო	1 ვედრ.	240.000
11.	ღვინო შუშუნა საზღვარგა- რეთული	1 ვედრ.	4.500.000
12.	ღვინო შუშუნა ადგილობრივი	1 ვედრ.	600.000
<b>ჯგუფი 5.</b>			
13. თამბაქოს ნაწარმოები:			
	ა) მოსაწვევი თამბაქო	1 გირგ.	30.000
	ბ) თამბაქო პაპიროსებში	1 გირგ.	60.000
14.	სპირტის ნაწარმოები (ლიქო- რები)	1 ვედრ.	800.000

ფინანსთა სახ. კომ. მოადგ. ბ. ბიბინეიშვილი.

არაპირდაპირ გადასახდათა განყოფილების გამგე  
ლამბარაშვილი.



# განათლების სახ. კომისარ.

ცირკულიარი

## ცირკულიარი

თბილ. ყველა ტექნიკუმის გამგეს და პროვინციაში.

1022 23 სამოსწავლო წლისათვის დაგზავნილ კვირეულ გაკვეთილების ცხრილში ნაჩვენებ საგნების და გაკვეთილების შესახებ კომისარიატში შემოდის სხვადასხვა შეკითხვები. ამის გამო კომისარიატი განმარტავს, რომ: 1) ტრიგონომეტრიის გაკვეთილები მოქცეულია მეოთხე კლასში განგებ იმ მოსაზრებით, რომ ტექნიკუმის უმეტეს ნაწილში შარშან მეექვსე კლასში არ დაუმთავრებიათ გეომეტრია და ეს საგანი დროებით გაგრძელებულია მესამე (ყოფილ მეშვიდე) კლასში. 2) ფსიქოლოგია ნაჩვენებია მესამე კლასში და არა მეორეში, როგორც გაკვეთილების მუდმივ ცხრილში არის ნაგარაუდვე. 3) ის ჰუმანიტ. ტექნიკ. პროგრამა ესეც იმიტომ, რომ, როგორც პრაქტიკამ გაჩვენა ერთის მხრით მეორე კლასისთვის ეს საგანი ნაადრევია და მეორე მხრით ბევრგან შარშან გაუვლელი დარჩა იგი, ამიტომ წელს შეიძლება განმეორებით განვიღო იქნახ და შეძლებისა დაგვარად გაღრმავებული ეს საგანი; იგი სამერმისოდაც დარჩება იმავე მესამე კლასში.

პროფ. განათ. მთავარ-მმართველ. გამგე ნ. მგელაძე.

მდივანი ალ. მიქელაძე.

ტფილისის ყველა ტექნიკუმის გამგეს და პროვინციაში.

ტექნიკუმის დებულების მე 25 მუხლის ძალით შეიძლება ტექნიკუმთან განმ.ნათლებელ მიზნით ლიტერატურულ ან მეცნიერულ წრეების დაარსება. მოწაფეთა შორის ასეთი წრეები კომისარიატს სასურველად მიაჩნია, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ყოველ იმ გვარ წრეს ჰყავდეს პედაგოგიურ საბჭოს ან გამგის მიერ მიჩენილი ხელმძღვანელი მასწავლებელი, რომლის თანადასწრებით და პასუხისმგებლობითაც უნდა ხდებოდეს სხდომები, სწარმოებდეს თათბირი, იმართებოდეს ლიტერატურული დილა და სხვა.

გაუწყებთ რა ამას, გთხოვთ აუცილებლად იხელმძღვანელოთ ამ ცირკულიარით სათანადო შემთხვევებში.

პროფ. გინათ. მთავარ მმართველ. გამგე ნ. მგელაძე

მდივანი ალ. მიქელაძე

# ა რ ა ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ი გ ა ნ ე ო ფ ი ლ ე ბ ა

## მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

სრულიად რუსეთის ფედერაციის მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებისა და მსხვილ ქალაქების კომუნალურ მეურნეობის მთავარ სამმართველოების გამგეთა თათბირის რეზოლუციების შესახებ (ქ. მოსკოვი, 21—26 ივლისი)

(დასასრული \*)

ამასთანავე საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ამ ეჟმად, ცხადია ყველასათვის, თუ რა კრიზისის განიცდის აღმშენებლობის საქმე ქალაქებში. წინანდელი საყოველთაო მუნიციპალიზაცია—ნაციონალიზაციისაკენ მიდრეკილება დამარცხდა. მიღებულია ისეთი შენობების ჩამორთმევა, რომელიც აუცალკებლად სჭირდება სახელმწიფოს და მასთან მისი მოვლა-პატრონობა ზარალს არ მოუტანს მას. ან სახლი

უპატრონოა, ან ეკუთვნის კონტრ-რევოლიუციონურ ელემენტს. დღეს დღეობით ჩვენში ადგილობრივი ხელისუფლება ახდენს ხშირ ნაციონალიზაცია-მუნიციპალიზაციას და ანგარიშს არ უწევს არც კომუნალურ მეურნეობის განყოფილებათა გამგეების ყრილობების რეზოლუციებს, არც მთავარ სამმართველოს ახსნა განმარტებას და არც ახალ ეკონ. პოლიტიკის ძირითად პრინციპებს. რუსეთში შედარებით ნაციონალიზაცია-მუნიციპალიზაციის საკითხს მიცემული აქვს ერთგვარი სისტემა და კანონიერება, რომ ხელი შეუწყოს ამით აღმშენებლობის საქმის გაღვივებას ქალაქებში. მაგ. რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მთავარი კომუნალური სამმართველო არ ამტკიცებს არავითარ შუამდგომლობას სახლების მუნიციპალიზაცია თუ ნაციონალიზაციის შესახებ 1918 წლ. აქეთ, ვინაიდან მთლიანი მუნიციპალიზაციის პრინციპი პირდაპირ დამლუბველი შეიქნა აღმშენებლობის საკითხში. ამიტომ დღეს რუსეთში საკითხი

\*) იხილეთ მოამბე № 41.





სდგას სულ სხვა ნიადაგზე: მეტი ყურადღება ექცევა მიწის რენტის სრულს მუნიციპალიზაციას. სახელმწიფო ჯერ-ჯერობით არ არის დაინტერესებული, რომ აილოს თავის მმართველობაში სახლების მეტი რიცხვი ქალაქებში, ვინაიდან აპარატების მოუწყობლობის გამო, ეს შეუძლებელი გახდა. ამიტომ დღევანდელს პირობებში სასარგებლო და მიზანშეწონილია შენობები დარჩეს, გარდა ზოგიერთისა. რომელიც აუცილებლად საჭიროა სახელმწიფოსათვის კერძო პირთა ხელში. მაგრამ, ვინაიდან მიწა ქალაქის ფარგლებში; სადაც შენობები არის, ეკუთვნის ქალაქებს (მუნიციპალიზაცია ქმნილია), შენობის პატრონი იხდის სარენტო გადასახადს მიწაზე, რისთვისაც საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ტერატორიაზე პრაქტიკაში შემოღებული, მთავარ კომუნალურ სამმართველოს ნებადართველად, ყველა სავაჭრო შენობების მთლიანი მუნიციპალიზაცია არ შეიცავს რაციონალურ საფუძველებს, რომელსაც შეუძლია სრულიად მოსპოს ქალაქების განვითარების საქმე ჩვენში. საქმე იმაშია, რომ, როდესაც ყველა სავაჭრო შენობის ერთიანი მუნიციპალიზაცია ხდება, მაშინ სრულიად კვდება სავაჭრო ბინების აშენების საქმეში კერძო ინიციატივა, რომელიც უდავო ჭეშმარიტებათ არის მიღებული საცხოვრებელ ბინების აღორძინების საქმეში, თუ ჩვენ გვჭირდება საცხოვრებელ ბინის საქმის განვითარება, იმოდენათვე, მეტი თუ არა, საჭიროა ჩვენთვის სავაჭრო სახლების და ღუქნების აშენების საქმის გააქტიურება. ეს გარემოება კი შეუძლებელია მათი ერთიანი მუნიციპალიზაციით. ამ მიზნით რაციონალური იქნებოდა სავაჭრო შენობების და ღუქნების დემუნიციპალიზაცია. ამ გარემოებით სრულიად არაფერს წააგებს არც ერთი ქალაქი, არამედ მოიგებს. ესთქვათ, რომ კომუნალურ მეურნეობის განყოფილება დებულობს ერთ რომელიმე ღუქნიდან, მუნიციპალიზაცია-ქმნილ ღუქნიდან, 5 მილიონს თვეში. ეს 5 მილიონი შეიძლება დაწესდეს იმავე ღუქანზე გადასახდათ, როგორც მიწის რენტა, და ნაშენი კი დარჩეს პატრონის ხელში, რომელსაც შეუძლია გასცეს იგივე ღუქანი იჯარით თავის მხრით და აწაიზად ჩვენ საქალაქო მშენებლობაში ფართო ასპარეზი მიკვეთ კერძო ინიციატივას, რომელიც ხელს შეუწყობს ქალაქების განვითარების საქმეს რესპუბლიკაში, სადაც ჩვენს წინაშე მრავალი ქალაქი იწყებდა წინათ ჩქარი ტემპით, განვითარებას. ღუქნების მთლიან მუნიციპალიზაციას შელძლია მათი სრული გაჭრობა. ამიტომ თათბირმა აღნიშნულ საკითხის შესახებ საერთოდ მიიღო შემდეგი: „თათბირს აუცილებლად მიაყნია საადგილო მამულით და საბინაო საკითხის სისწორით მოგვარება მიწის რენტის სრული მუნიციპალიზაციის მიზნით (2 რეზ. პუნ. გ.)“

ამ აზრის ცხოვრებაში გატარებისათვის საქიროა ქალაქების ფარგლების განსაზღვრა და ქალაქების ტერიტორიის მიწათ-მოქმედების კომისარიატის გამგებლობიდან გამოყოფა და სათანადო კონონმდებლობითი პროექტის გამოიმუშავება მისი რა-

ციონალურ და შემოსავლიან ექსპლუატაციასთან ერთად, გარდა აღნიშნული ხასიათის რენტისა,

ამასთანავე თათბირმა მიიღო კომუნალურ მეურნეობის გასაძლიერებლად და დამოუკიდებელ არსებობისათვის კომუნალურ ბანკებისა და დასაფარავ კრედიტის შერეულ საქალაქო ბანკების დაარსების შესახებ რეზოლიუცია:

(2 რეზოლ. დასასრული).

პარალელურად ამასთან თათბირმა მიიღო გადაწყვეტილება შერეულ სავაჭრო და საწარმოო ამხანაგობის დაარსების შესახებ ერთიანი ფედერალურ განყოფილების დაარსებით და საფილიალო განყოფილებათა ფებრადე ქსელის განვითარებით საგუბერნიო და მსხვილ ქალაქებში. ამ საქმის თავში სდგას რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მთავარ კომუნალურ სამმართველოს სავაჭრო განყოფილებასთან არსებული „სავაჭრო-სამრეწველო“ ამხანაგობა, რომელსაც აზრად აქვს ყველა მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებს და ქალაქებს მიაწოდოს კომუნალურ მეურნეობის აღდგენისათვის საჭირო — მასალები (ელექტრონის საღვურების აშენება და რემონტი, წყალსადენის მოწყობა და რემონტი, სახლების აშენება და რემონტი, სხვა და სხვა გვარ წარმოებათა მოწყობა, ცეცხლის საწინააღმდეგო იარაღები და სხვა მრავალი საჭირო მასალები), ხელსაყრელ პირობებში. ამისათვის თათბირმა გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „სთვლის რა ადგილობრივ მეურნეობის უეჭველ არსებობისა, გაძლიერებისა და გაფართოებისათვის რა კომუნალურ განყოფილებათა ორგანიზაციულად მომარაგების საქმის საჩქაროდ დაყენებას აუცილებლად — დიდ საგუბერნიო ცენტრების და ფედერატიულ და ავტონომიურ რესპუბლიკების კომუნალურ მეურნეობის წარმომადგენლების თათბირს აუცილებლად მიაჩნია: გატარებულ იქნას ცხოვრებაში საჩქარო შერეულ საბიუჯეტო, სავაჭრო და წარმოებათა ამხანაგობის ორგანიზაცია მთლიან ფედერატიულ ქალაქების სახით და ერთდროულად დაარსებით:

- ა) ყოველ რესპუბლიკაში ამხანაგობის ცენტრალურ განყოფილებისა.
- ბ) ამხანაგობის ფილიალურ განყოფილებათა ფართო ქსელის საგუბერნიო და სამაზრო დიდ ქალაქებში.

ერთდროულად, ამხანაგობის მიერ თავის ძირითად ამოცანების შესრულებისა — ამხანაგობას მიეცეს უფლება შეასრულოს დავალებანი და მიწოდება ქვემდებარე უწყებისა და კერძო წარმოებათათვის საკუთარ წარმოების ნივთებისა ამხანაგობის წესდების ფარგლებში.“

ამასთანავე, თათბირმა გამოსთქვა აზრი, რომ საბინაო საქმის ასაღორძინებლად მიზანშეწონილი და დროული იქნებოდა კომუნალურ მამულების, კომუნების და საერთოდ უძრავ ქონებათა დაზღვევიდან მიღებულ მოგების მოხმარების შესახებ:

„საბინაო საკითხის აღდგენა მიზნით, ბინების, კომუნების და უძრავ ქონების დაზღვევისაგან მიღებულ მოგების აუცილებლად მოხმარებისათვის — ფედერატიულ და ავტონომიურ რესპუბლიკათა და დიდ



საგუბერნიო ქალაქების კომუნალურ მეურნეობის სამმართველოების წარმომადგენალთა თათბირს მიზანშეწონილად მიაჩნია:

ა) ბინების დაზღვევის ყველა საქმე გამოყოფილ იქმნას სახელმწიფო დაზღვევის გამგებლობისაგან და ასეთი გადაეცეს კომუნალურ მეურნეობის მთავარ სამმართველოს;

ბ) სახელმწიფო დაზღვევისაგან ბინების დაზღვევის საქმის გამოყოფის შეუძლებლობის გამო — კომუნალურ ქონების დაზღვევა არ უნდა იყოს სავალდებულო და აუცილებლად უნდა იმყოფებოდეს კომუნალურ მეურნეობის მთავარ სამმართველოს გამგებლობაში.

### უახლოვის განყოფილება

უტურნალ „მოამბეს“ № 41-ში მოთავსებულ შ. ს. ს. კ. ცირკულიარებში ზოგიერთი შეცდომა არის შეპარული, დაბეჭდილია: გვ. 5-ზე „ცირკულიარი გადასახადების აკრეფის შესახებ“ ცირკულიარის მე 14 სტრიქონში სწერია: „წინადადებას გაძღვეთ-ჩვენი პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ მიიღოთ ყოველგვარი ზომები“ უნდა იყოს: „თქვენი პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ ხელმოწერაში შეცდომით აწერია:“ დრ. შინ. საქმ. სახ. კომის. აღმასრულებელი იოვიძე უნდა იყოს: შინ. საქმ. სახ. კომისრის მოადგილის მოვალეობის აღმასრულებელი.“

მე 6-ე გვერდზე მოთავს. ცირკულიარში „დაკლულ საქონლის ხორცის გაყიდვის შესახებ“ ბოლოში მოწერილი აქვს: „საქმეთა მმართველი ცინცაძე“ უნდა იყოს: „საქმეთა მმართველის მოადგილე ცინცაძე.“

იქვე დაბეჭდილია: „საერთო განყოფილებების გამგე-ლეკვიაშვილი“ უნდა იყოს: „საერთო განყოფ. გამგის შაგიერ-ლეკვიაშვილი.“

მე 7-ე გვერდზე მოთავსებულ ცირკულიარის „მილიციის უფროსის თანამდებობის შესახებ“ ბოლოში შეცდომით მოწერილი აქვს: „დრ. საქმეთა მმართველი ა. ცინცაძე“ უნდა იყოს: საქმეთა მმართველის მოადგილე ა. ცინცაძე“ და სხვა.

### გ ა ნ ც ხ ა ღ ე ზ ა ნ ი:

**დაკპარბე** ქორწინების მოწმობა, მიღებული ყოფილა სინოდალური კანტორიდან 1920 წ. № 1203 ტრიფონ დავითის ძე იაშვილის სახელზე. ეს მოწმობა უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად. № 100 1-1

**დაკპარბე** ჯვარის წარის მოწმობა მიღებული ცენტრალური მმჩის კანცელარიიდან ა. წ. 16 ივნისს რუბენ საფაროვის და ელენე აირუშიანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დაკპარბე** ორი მეტრიკული ამონაწერი მიხეილ ივანეს ძე მაისურაძისა № 18 და 204 ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დაკპარბე** მეტრიკა 1914 წ. № 1659 იოსებ დავითის ძე მკვდლიშვილის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. № 114 1-1

**დაკპარბე** ჯვრის წერის მოწმობა მიღებული საკათალიკოზო საბჭოდან 1920 № 3933, მანუილ მელიტონის ძე ლანდიას სახელობაზე- მოწმობა გაუქმებულია. № 111 1-1

**დაკპარბე** მეტრიკა მიღებული ყოფილი სინოდალური კანტორიდან 1910 წ. № 272. კონსტანტინე ალექსანდრეს ძე დავილოვის სახელზე. მეტრიკა გაუქმებულია.

**დაკპარბე** მეტრიკული ამონაწერი № 1947 მიღებული 1920 წ. ყოფ. სინოდალურ კანტორიდან პართენ ბიჭიას-ძე ციციხეისას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დაკპარბე** პასპორტი, მიღებული შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატიდან 1921 წლის აგვისტოში, ოლღა ნიკოლოზის ასული სმირნოვა და მისი ქალიშვილების ვერა და ოლღას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დაკპარბე** მეტრიკული ამონაწერი მიღებული ყოფ სინოდალური კანტორის კანცელარიიდან 1919 წ. № 2421 გრიგოლ იავორის ძე ვარაზაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად

**დაკპარბე** მეტრიკა მიღებული საკათალიკოზო საბჭოდან ნესტორ თომას-ძე ქოჩლაძის სახელზე 1920 წ. № 2119 გაუქმებულად ჩაითვალოს. № 107 1-1

**დაკპარბე** ქორწინების მოწმობა, მიღებული ქ. თფილისის აღმასკომის მმჩის განყოფილებიდან 1922 წ. 23 სექტემბერს იაკობ ივლიანეს ძე ლებეკის სახელობაზე. ეს მოწმობა ჩაითვალოს გაუქმებულად. 1-1

**დაკპარბე** მეტრიკული ამონაწერი მიღებული სინოდალური კანტ. კანცელარიიდან 1901 წ. № 352 გრიგოლ ივანეს ძე სახლთხუციშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დაკპარბე** მეტრიკული ამონაწერი მიღებული 1908 წ. № 189 მიხეილ კუზმას ძე ბეინის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დაკპარბე** ცხენის კუთვნილების დამადასტურებელია მოწმობა მიღებული ლენხინდრაოს თემის რევკომისგან 1921 წ. ოქტომბრის თარიღით ერასტო სტეფანეს ძე ივანაშვილის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დაკპარბე** მეტრიკა მიღებული 1894 წ. თფილისის სომეხთა კონსისტორიიდან ადამ მიხეილის-ძე თოროზოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დაკპარბე** პირადობის მოწმობა მიღებული შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საერთო განყოფილების კანცელარიიდან ა. წ. 7 თებერვლის თარიღით № 647 მიხეილ იაკობის ძე ხოხლოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.